15
844/ფი 1093
საქართველოს ... ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 236 (256) სამშაბათი, 3 დეკემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი


## თანადგომის ნიშნით

**გუშინ,** თბილისში, მთავრობის სახლის წინა მოედანზე გაიმართა საინფორმაციო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა შიდა ქართლში შექმნილ მდგომარეობას და საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის დღევანდელი სხდომის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.



შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებმა ავთანდილ რცხილაძემ და ალექსანდრე ქობულაშვილმა, მამა ილარიონმა, შიდა ქართლის მკვიდრმა ქუქუნა ჭოველიძემ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ ოსმა სეპარატისტებმა ამ დღეებში კიდევ ერთი პროვოკაციული აქტი განახორციელეს საქართველოს, მისი ხალხის წინააღმდეგ. მათ მოიწვიეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს უკანონო სესია, რომელმაც ე. წ. სამხრეთ ოსეთი რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო მის პრეზიდენტად აირჩია ტორეზ კულუმბეკოვი, რომელსაც ახლა ასამართლებენ სხვადასხვა კრიმინალური ქმედებისათვის. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს ოს სეპარატისტთა ეს ანტიკონსტიტუციური მოქმედება და მოუწოდეს საქართველოს პოლიტიკურ ძალებს მთელი თავიანთი ძალისხმევა მიმართონ იმისაკენ, რომ დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, შიდა ქართლში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზვიად გამსახურდია. მან აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც ასეთი მძიმე დღეები უდგას საქართველოს, ყველა შეგნებული ქართველი უნდა დადგეს ხალხის საერთო ნებით არჩეული ხელისუფლების და პრეზიდენტის გვერდით. ჩვენ არ უნდა ვუღალატოთ დამოუკიდებლობისათვის ჩვენს მიერ არჩეულ ბრძოლის გზას, — თქვა მან. შემდეგ ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ კონკრეტულად დაახასიათა ის კრიზისული მოვლენები, რომელიც თავს იჩენს ჩვენს ცხოვრებაში იმპერიის ყოველდღიური ბოროტების შედეგად. მან აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ საქართველოსათვის ფულის ნიშნების, პროდუქტისა თუ სხვა სამრეწველო საქონლის მოუწოდებლობა ვერ გატეხს, ვერ დააჩოქებს საქართველოს, ჩვენს შეუპოვარ ხალხს. რომ სწორედ ასეთ დროს გვმართებს თავდაუზოგავი შრომა, მომჭირნეობა, გამჭრიახობა, მოთმინება და, რაც მთავარია, თანადგომა.



**გია ჭელიძე.**

• • •

სურათებზე: მიტინგის დროს.
გონდო დვალიშვილის ფოტო
(სეისის ფოტოქრონიკა).

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

## შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

**შიდა ქართლში** ოსი სეპარატისტები, რომლებსაც უზურპირებული აქვთ ხელისუფლება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის მხარდაჭერით კვლავ განაგრძობენ ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, რითაც აშკარად ცდილობენ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შეზღუდონ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები.

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზედაც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან შეერთების ადრემიღებული გადაწყვეტილების დადასტურების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები. სესიამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია ზნაურ გასიევი და მასვე დააკისრა თავმჯდომარის მოვალეობა.

ნიშანდობლივია, რომ თვით ამ ე. წ. სესიამ აღიარა, რომ 1991 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებების შემდეგ, რომელიც მიიღო უკანონო ორგანომ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა სესიამ", ამ რეგიონში შეიქმნა კონსტიტუციური ვაკუუმი. მაგრამ მიუხედავად ამ აღიარებისა, ოსი სეპარატისტები შიდა ქართლში „კონსტიტუციური ვაკუუმის" შევსებას კვლავ უკანონო, ანტიკონსტიტუციური მოქმედებებით ცდილობენ, რომლის დასტურია სწორედ 26 ნოემბერს ჩატარებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს სესია და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები.

„საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების შიდა ქართლის ტერიტორიაზე ყოფნას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ამ რეგიონში დესტაბილიზაციის, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მტრული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[4]-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებები;

2. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც შიდა ქართლში შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა;

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 2 დეკემბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებასთან დაკავშირებით

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვა უზრუნველყონ საოლქო საარჩევნო კომისიებმა 1991 წლის 15 დეკემბრამდე. დეპუტატობის კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენში ჩაიწერონ მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით. წარდგენის თარიღად მიიჩნევა მხარდამჭერთა სიის წარდგენის თარიღი (დამოუკიდებელი კანდიდატისათვის), პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის კანდიდატის წარდგენის თარიღი.

2. ამომრჩეველთა სიაში ჩაიწეროს სიის შედგენის მომენტისათვის შესაბამისი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებსაც არჩევნების დღისთვის ან არჩევნების დღეს 18 წელი შეუსრულდათ.

3. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საარჩევნო ბიულეტენები თვლით გადასცენ საუბნო საარჩევნო კომისიებს 1991 წლის 18 დეკემბრამდე, რის თაობაზეც უნდა შედგეს აქტი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ საოლქო და საუბნო კომისიების პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

4. არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ (მოადგილემ) კომისიის წევრებს, არჩევნებზე დამსწრე ოფიციალურ მეთვალყურეებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს (თუ ისინი ესწრებიან) აცნობოს, თუ რამდენი ბიულეტენი აქვს მიღებული საუბნო საარჩევნო კომისიას, რამდენი ამომრჩეველია ჩაწერილი ამომრჩეველთა სიაში, მათი თანდასწრებით შემოწმდეს და დაილუქოს ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები, ხოლო ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩევლის მისვლის შემდეგ ყუთებში ჩაუშვან საკონტროლო ფურცელი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ეს ამომრჩეველი.

5. საარჩევნო ბიულეტენი გასცეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღება ამომრჩეველმა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს.

6. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, არჩევნების დღის 13 საათამდე უნდა აცნობონ ამის შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიას. ეს მოქალაქენი უნდა ჩავწეროთ ამომრჩეველთა სიის დანართში, ხოლო ამომრჩეველთა ძირითად სიაში გააკეთოთ სათანადო შენიშვნა. ამ ამომრჩევლებთან მიაქვთ გადასატანი ყუთი, რომელსაც უნდა გაჰყვეს საუბნო საარჩევნო კომისიის სულ ცოტა 2 წევრი (ყუთს შეიძლება გაჰყვეს 2 მეთვალყურეც). მათ უნდა წაიღონ იმდენი ბიულეტენი, რამდენი ამომრჩეველიცაა ჩაწერილი სიის დანართში. საარჩევნო ბიულეტენის მიღება ამომრჩეველმა სიის დანართში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს. გადასატანი ყუთით ხმის მიცემა დაიწყოს 14 საათზე და დამთავრდეს არა უგვიანეს 20 საათისა. ხმის მიცემის დამთავრებისთანავე ამომრჩეველთა სიის დანართზე უნდა დაიწეროს თუ რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და რამდენი ბიულეტენი დარჩა გამოუყენებელი. დანართს ხელი უნდა მოაწერონ კომისიის იმ წევრებმა, რომლებმაც ჩამოატარეს ყუთი და მათმა თანმხლებმა მეთვალყურეებმა.

7. არჩევნების დღეს იმ ოთახებში, სადაც ხდება ბიულეტენების გაცემა და ხმის მიცემა, შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრები, პარტიების, საარჩევნო ბლოკების და დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირები: მეთვალყურეები — საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დეპუტატობის კანდიდატების თითო წარმომადგენელი, თუ სათანადო წარდგინება (ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობისათვის — ოქმის ამონაწერიც) შესაბამის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას ჩაბარდება არჩევნების დღის წინა პარასკევის 20 საათამდე; პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები. მილიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.

8. საარჩევნო ბიულეტენის გაცემის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს იმ დეპუტატობის კანდიდატის ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას. აკრძალულია ბიულეტენის შევსებისას ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატის, პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლისა. შევსებული ბიულეტენი ამომრჩეველმა საარჩევნო ყუთში უნდა ჩაუშვას. ბიულეტენის ყუთში ჩაშვებამდე საარჩევნო კომისიის წევრს, ნდობით აღჭურვილ პირს და მეთვალყურეს უფლება აქვთ, ამომრჩეველს მოსთხოვონ იმის ჩვენება, რომ მას ხელთ მხოლოდ ერთი ბიულეტენი აქვს. თუ ამომრჩეველს ერთ ბიულეტენზე მეტი აღმოაჩნდა, ზედმეტი ბიულეტენები მას უნდა ჩამოერთვას, გაუქმდეს სათანადო წარწერითა და კომისიის წევრის ხელმოწერით, გაირკვეს ვისი მიზეზით მოხდა დარღვევა და შედგეს აქტი, რომელიც თან უნდა დაერთოს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმს.

9. საარჩევნო ყუთზე საარჩევნო კომისიამ მუდმივი მეთვალყურეობა უნდა დააწესოს. თუ შემჩნეული იქნა ბეჭდის გატეხვა არჩევნების დღის განმავლობაში, ხმის მიცემა უნდა შეჩერდეს, ამ მომენტისათვის ყუთში არსებული ბიულეტენები ბათილად იქნეს ცნობილი, ყუთი ხელახლა უნდა დაილუქოს და მასში ჩაეშვას ახალი საკონტროლო ფურცელი, რის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს ხმის მიცემა. თუ ბეჭდის გატეხვა ან დაზიანება მაშინვე იქნა შემჩნეული, ყუთი თავიდან უნდა დაილუქოს და ამის თაობაზე შედგეს აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ამ დროს ადგილზე მყოფმა კომისიის წევრებმა.

10. საარჩევნო უბანში ხმის მიცემა შეწყდეს 20 საათზე. მაგრამ, თუ ამ დროისათვის საარჩევნო უბანში მისული იყვნენ ამომრჩევლები, რომლებმაც ვერ მოასწრეს ხმის მიცემა, მათ მიეცათ ხმის მიცემის საშუალება.

11. ხმის მიცემის შედეგების შეჯამებისას დაცული იქნეს შემდეგი პროცედურა დ) და ე) პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურა ჩატარდეს ჯერ გადასატან ყუთზე, შემდეგ კი — ძირითადზე.

ა) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიამ დაითვალოს და პაკეტად შეკრას გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, ბიულეტენების გვარობა და რაოდენობა, მას ხელი უნდა მოაწერონ კომისიის თავმჯდომარემ, მისმა მოადგილემ და მდივანმა და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

ბ) დადგინდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბანში (იგი ტოლია ამომრჩეველთა ძირითად და დამატებით სიებში ჩაწერილი ამომრჩევლების საერთო რაოდენობისა);

გ) დადგინდეს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა (იგი ტოლია იმ ამომრჩეველთა რაოდენობისა, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები) — განისაზღვრება ამომრჩეველთა ძირითად და დამატებით სიებში და სიის დანართში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობით;

დ) შემოწმდეს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობა, გაიხსნას ყუთები და შემოწმდეს მათში საკონტროლო ფურცლების არსებობა. თუ ბეჭედი გატეხილი აღმოჩნდა ან ყუთში არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ყუთში არსებული ბიულეტენები ბათილად იქნეს ცნობილი;

ე) საარჩევნო კომისიამ დაითვალოს და ცალ-ცალკე დააწყოს ყუთებში არსებული დადგენილი ნიმუშისა და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ანუ ის ბიულეტენები, რომლებიც ფორმით, ზომით, ქაღალდის გვარობითა თუ მათზე დაბეჭდილი ტექსტის შინაარსით განსხვავდებიან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილისაგან, პაკეტად შეიკრას და ისევე გაფორმდეს, როგორც ა) პუნქტშია მითითებული;

ვ) განისაზღვროს ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობა (იგი ტოლია ყუთებში არსებული დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობისა). დადგენილი ნიმუშის ბიულეტენები დაიყოს ორ დასტად — ნამდვილ და ბათილად ცნობილ ბიულეტენად (ბათილად იქნეს ცნობილი ბიულეტენები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა; თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო და მისი ნომერი არაა შემოხაზული, ასეთი ბიულეტენებიც ბათილად მიიჩნევა). საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია. ბათილად ცნობილი ბიულეტენები პაკეტად შეიკრას და ისევე გაფორმდეს, როგორც ა) პუნქტშია მითითებული;

ზ) ცალ-ცალკე იქნეს დათვლილი ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობა. თითოეული დასტა ცალკე პაკეტად შეიკრას და ისევე გაფორმდეს, როგორც ა) პუნქტშია მითითებული;

თ) საუბნო საარჩევნო კომისიამ სხდომაზე განიხილოს და დაამტკიცოს ხმების დათვლის შედეგები და შეიტანოს ოქმში, რომლის პირველი ცალიც კენჭისყრის მეორე დღეს ჩაბარდეს საოლქო საარჩევნო კომისიას. მასვე უნდა გადაეცეს მთელი საარჩევნო დოკუმენტაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

12. ხმის მიცემის დღეს საარჩევნო უბანში კანონის დარღვევის შემჩნევისას ნდობით აღჭურვილმა პირებმა და მეთვალყურეებმა უნდა მიმართონ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ დარღვევა არ აღმოიფხვრა ან მისი აღმოფხვრა შეუძლებელი აღმოჩნდა, შეადგინონ აქტი, რომელიც ხელმოწერით უნდა დაადასტურონ კანონის დარღვევის მოწმეებმა. ეს აქტი, არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღის 20 საათისა, უნდა ჩაბარდეს საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისიამ 2 დღის ვადაში განმცხადებლის თანდასწრებით, ხოლო თუ იგი არ გამოცხადდა — მის გარეშე, განიხილოს კანონის დარღვევის ფაქტები, გამოიტანოს მათ შესახებ გადაწყვეტილება და შეიტანოს ოქმში, რომლის პირველი ცალიც გამოუყენებელ ბიულეტენებთან ერთად ჩაბარდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მეოთხე დღისა. ოქმში აღნიშნული უნდა იყოს კანონის დარღვევის ყველა ფაქტი და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

13. საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა არჩევნების შესახებ კანონის უხეში დარღვევა, აგრეთვე საარჩევნო ოლქში, თუ ასეთ დარღვევებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა. პირველ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა დანიშნოს ხელახალი ხმის მიცემა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, თუ ამ უბნებში არჩევნების ჩატარებას შეუძლია გავლენის მოხდენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა ტარდება მთელ საარჩევნო ოლქში. ხელახალი ხმის მიცემა ჩატარდეს არჩევნების დღიდან ერთი კვირის შემდეგ.

14. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მეოთხე დღისა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
**ა. ჭირაქაძე.**

1991 წლის 29 ნოემბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 2 დეკემბერი.

## არჩევნები აფხაზეთში

**1 დეკემბერს** გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მეორე ეტაპი. 12 საარჩევნო ოლქში ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის ვაკანტურ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებდა 50 კანდიდატი.

კენჭისყრის საბოლოო შედეგები დღეს შეჯამდება. ახლა კი სარწმუნოდ გახდა ცნობილი, რომ № 2 ოჩამჩირის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ქვორუმი არ შემდგარა. იქ ხელახალი არჩევნები დაინიშნება.

**სეისი.**

## ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები

**29 ნოემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა მიიღო ისრაელის კნესეტის (პარლამენტის) წევრი, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ეფრაიმ გური (გურიელაშვილი), რომელიც ამავე დროს ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების „დერეხის" თავმჯდომარეა.

როგორც ცნობილია, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ ბატონ ეფრაიმ გურს მინიჭებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულის წოდება, რაც უფლებას აძლევს მისი მეშვეობით განახორციელდეს საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, ერთობლივი ღონისძიებანი.

ბატონ ბესარიონ გუგუშვილსა და ბატონ ეფრაიმ გურს შორის გაიმართა საუბარი ამ ურთიერთობათა გაფართოების შესახებ.

საუბარში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბაკურ გულუა, „საქნავთობის" გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე და მრეწველობის მინისტრის მოადგილე გივი თალაკვაძე.

**სეისი**

## კანონიერად მიგვაჩნია

**საქართველოს** რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა და სასაზღვრო ჯარების, საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადების შესახებ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებულებები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენობის დადასტურებაა და ისინი მთლიანად შეესატყვისებიან საქართველოს კონსტიტუციის 121[4] მუხლის მეორე პუნქტს. ეს ბრძანებულებები ქმნიან იურიდიულ წანამძღვრებს, რათა ორმხრივი მოლაპარაკების გზით რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოვიდეს უძრავი და მოძრავი სამხედრო ქონება.

ჩვენ ასევე სრულიად კანონიერად მიგვაჩნია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის საერთო იურისდიქციაში მოქცევა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ამგვარი სამართლებრივი აქტის მიღება უეჭველად ხელს შეუწყობს შესაბამის უწყებებთან მოლაპარაკების დადებითად წარმართვას. ამასთან ერთად, ასეთი აქტი რეალურად შექმნის იურიდიულ ბარიერებს ყოველგვარი თვითნებობისა და განუკითხაობის თავიდან ასაცილებლად იმ სამხედრო ნაწილების მიმართ, რომლებიც დღემდე საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს მოსახლეობას კარგად გაითავისოს ამ უმნიშვნელოვანესი იურიდიული აქტების რეალიზაციის დადებითი შედეგები, რაც, უეჭველია, მალე საგრძნობი გახდება. ბუნებრივია, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ორმხრივი მოლაპარაკებით შეიძლება, და ამდენად, ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს გულისხმობს. ამ საქმეში სიჩქარეს, სულსწრაფობას მხოლოდ ზიანი შეიძლება მოჰყვეს. თანაც მთლიანად უნდა გამოირიცხოს სამხედრო ქონების თვითნებური მიტაცების დანაშაულებრივი ძალადობის ყოველგვარი ფაქტი.

ჩვენ მთლიანად ვუერთდებით რესპუბლიკის ხელისუფალთა წუხილს კრიმინალური ჯგუფის მიერ სამხედრო ქონების უკანონო დაუფლებისას მაიორ ვ. ბერილოვის მხეცური მკვლელობის გამო. კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯასთან ერთად, მთელი საზოგადოების ძალისხმევით მიღწეულ უნდა იქნას ის, რომ მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი რამ. სხვანაირად მხოლოდ ხელი შეიშლება ამ უაღრესად საშური ბრძანებულებების რეალიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით:
**ლევან ალექსიძე, ზურაბ რატიანი, გიორგი ტუღუშიძე, თამაზ შავგულიძე, სერგო ჯორბენაძე.**

## რუსეთელებს კონტაქტების დამყარება სურთ

**საქართველოში** საკუთარი ინიციატივით იყო რუსეთის პარლამენტის ეროვნებათა პალატის ორი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტთან პირდაპირი კონტაქტების დასამყარებლად. ეს საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ მედეა თუშმალიშვილმა.

— როგორც სტუმრებმა თქვეს, — განაცხადა მან, — რუსეთის პარლამენტართა 60 პროცენტი უკვე მზად არის ცნოს ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

**სეისი**

## საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

**1991 წლის** 6 დეკემბერს, პარასკევს, მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო (სადაც 22 დეკემბერს დანიშნულია არჩევნები) და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიული და საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი.

თათბირი გაიმართება დადიანის ქ. № 5-ში დღის 12 საათზე.

## საზღვარგარეთ

**1 დეკემბერს** უკრაინაში გაიმართა რეფერენდუმი, რომელსაც უნდა აერჩია პრეზიდენტი და გადაეწყვიტა უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. რეფერენდუმის საბოლოო შედეგებს მალე შევიტყობთ, ამჟამად კი უკრაინის რადიოს ცნობით ვიცით, რომ რეფერენდუმში ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 84 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 80 პროცენტზე მეტმა ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობას. „ამერიკის ხმა" იუწყება, რომ შეერთებული შტატები აპირებს მიულოცოს უკრაინელ ხალხს რეფერენდუმის შედეგები, შემდეგ კი, როგორც იუწყებიან, ცნოს უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ყველას გასაკვირად რუსულენოვან ყირიმში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 42 პროცენტმა, რომელთა უმრავლესობამ დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობს ლეონიდ კრავჩუკი. მას კიდევ ხუთი კონკურენტი ჰყავს. ყველანი უკრაინის დამოუკიდებლობის მომხრენი არიან. კრავჩუკმა ჯერჯერობით ხმების 50 პროცენტი მოაგროვა. ამრიგად, საბჭოთა იმპერია თავისი განვითარების დასასრულს მიუახლოვდა.

**უკრაინის** დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრეს ამერიკაში მცხოვრებმა რუსებმა: მათი პოლიტიკური გაერთიანებები შეერთებული შტატების პრეზიდენტიდან მოითხოვენ, რომ მისმა ადმინისტრაციამ არ ცნოს უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

**ირანის** საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აქბარველაიათიმ ალმა-ათაში ყოფნის დროს განაცხადა, რომ ირანი მზად არის შუამავლის როლი შეასრულოს სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

**საბჭოთა კავშირის** ე. წ. ვნეშეკონომბანკმა ვალუტის უქონლობის გამო სავაჭრო ოპერაციები შეწყვიტა. ამ აქციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთევროპის საფინანსო წრეებში, რომლებსაც განუმტკიცდათ ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთ აღებული სესხების უკან დაბრუნება არ შეუძლია.

**გერმანიის** კანცლერმა ჰელმუტ კოლმა, აგრეთვე იტალიის ხელისუფლებამ, ევროპის თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებს მოუწოდა ახალწლამდე ცნონ სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა. ამავე დროს კანცლერმა კოლმა გააფრთხილა გერმანიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები, რომ ერიდონ სერბი ექსტრემისტებისაგან ტერორისტულ აქტებს.

**არ არის** გამორიცხული, რომ დაღესტნის დედაქალაქი მახაჩყალა ნავთობის დედაქალაქად იქცეს. ქალაქის მახლობლად თარკითაუს მთის მისადგომებთან აღმოჩენილია დიდძალი ნავთობი. მასთან ერთად ნახულია საწვავი აირიც. სპეციალისტთა აზრით, შესაძლებელია საქმე ჰქონდეთ ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ერთ-ერთ მძლავრ განშტოებასთან. დაღესტნის ნავთობისადმი უკვე დიდ ინტერესს იჩენენ საზღვარგარეთ. 7 დეკემბერს აქ ჩამოდიან ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიების წარმომადგენლები. ასე რომ, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ მომავალში დაღესტანი ახალი საუდის არაბეთად იქცეს.

**საქდესი** იუწყება, რომ საბჭოთა კავშირში გამოუშვებენ ახალი ფულის ერთეულს, რომლის ღირებულება 1000 მანეთი იქნება. ამავე დროს საქდესი იუწყება რომ 10, 50 და 100 მანეთის გაუმჯობესებული ვარიანტებიც გამოვა, ისე რომ ფულის ძველი ერთეულები მიმოქცევაში დარჩება.

**საფრანგეთის** ბანკმა დააბრუნა ლიტვისა და ლატვიის კუთვნილი ოქროს კანონიერი პატრონებისათვის დაბრუნება. ლიტვას გადასცეს 2,2 ტონა, ლატვიას 1 ტონა. სულ ბალტიისპირეთის ოქრო 208 მილიონ ფრანკად არის შეფასებული. იუწყებიან, რომ საფრანგეთის ბანკებში 2.500 ტონა ოქროა, რომლის ღირებულებაც 170 მილიარდ ფრანკს შეადგენს.

**საპრეზიდენტო** არჩევნები დასრულდა ყაზახეთშიც. აქ მხოლოდ ერთი კაცი ნურსულთან ნაზარბაევი იყრიდა კენჭს. მან ხმების 85 პროცენტზე მეტი მოაგროვა.

**მოლდოვას** რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თვითმარქვია დნესტრისპირეთისა და გაგაუზების რესპუბლიკაშიც ჩატარდა არჩევნები. დნესტრისპირეთის პრეზიდენტი გახდა იგორ სმირნოვი, გაგაუზეთისა კი სტეფანე ტოპოლი. ორივე რესპუბლიკა ე. წ. განახლებულ კავშირში აპირებს შესვლას. მოლდოვამ, რა თქმა უნდა, სეპარატისტთა ეს აქციები კანონგარეშედ გამოაცხადა.

## პრობლემა

**თბილისში ტრანსპორტის უკმარისობაა. მოქალაქეებს, განსაკუთრებით დილით და საღამოს, უჭირთ სამსახურში წასვლა, შინ დაბრუნება და საერთოდ შეიძლება ითქვას მგზავრობა ძალზე შეფერხებულია. არადა, ტრანსპორტი დედაქალაქის ურთულესი ორგანიზმია, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება. ტრანსპორტზე შექმნილ სირთულეებზე პრობლემებსა და სიძნელეების აღმოფხვრის გზებზე გვესაუბრება ქალაქ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსი ნუგზარ ნაბაძე.**

# ტრანსპორტს მივხედოთ

— უპირველესად, — გვითხრა მან, — სატრანსპორტო მომსახურების გაუარესება სათადარიგო ნაწილების და მოძრავი შემადგენლობების მოუწოდებლობამ გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობაა იკარუსების მარკის ავტობუსებისა და შკოდა 14 „ტრ“ ტიპის ტროლეიბუსებით პარკის შევსებასა და არსებული მოძრავი შემადგენლობის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფაში. ეს კი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ როგორც უნგრეთი, ისე ჩეხოსლოვაკია მოითხოვს ვალუტას. ამის საშუალება კი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. აღნიშნულს ისიც დაემატა, რომ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გართულდა საწვავ-საცხები მასალებით მომარაგება. ქალაქის ხელმძღვანელობის აქტიური ჩარევით სატრანსპორტო გაერთიანებისათვის განისაზღვრა ნორმის ის მინიმუმი, რომელსაც ჩვენ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ვღებულობთ, მაგრამ ხშირად საწვავი უხარისხოა, რაც ნაადრევად იწვევს ძრავების მწყობრიდან გამოსვლას. რა თქმა უნდა, ეს თავად ეხება ართულებს მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ გამართულობას. ეს პირველ რიგში იმ მიკროავტობუსებს ეხება, რომლებიც „აი-93 მარკის ბენზინზე უნდა მუშაობდეს. ასეთი მარკის ბენზინი, მოკვეხსენებათ, ჩვენ და მძღოლებს ნორმით გათვალისწინებული ერთი მესამედიც კი არ მიუღიათ. თითქმის ვერ ვღებულობთ იკარუსის ავტობუსებისთვის განკუთვნილ ზეთს, რის გამოც გვიხდება გამოვიყენოთ სხვადასხვა მარკის ზეთები, რაც ავტობუსის უწესრიგო, შეფერხებით მუშაობას იწვევს.

როდესაც პრობლემებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ქალაქის კომპლექსური სატრანსპორტო სქემით გათვალისწინებული ღონისძიებები წლების განმავლობაში სანახევროდაც არ სრულდებოდა, რამაც გამოიწვია ქუჩებისა და მაგისტრალების გადატვირთვა. სწორედ ამის გამო, რომ დღეისათვის მათი რიცხვის 50 პროცენტზე მეტის გამტარუნარიანობა ამოწურულია, ხოლო დანარჩენებიც ამ ზღვრამდეა მისული.

ყოველივე ამას გზების მოუწესრიგებლობაც ემატება. სათადარიგო ნაწილების, კვანძების, აგრეგატების და საბურავების ინტენსიურ ცვეთასთან ერთად ხდება საექსპლოატაციო სიხშირების დაცემაც, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის და მოსახლეობისათვის, რადგან იქ, სადაც უნდა გვქონდებოდეს ერთი ავტობუსი, ნორმალური სატრანსპორტო მომსახურებისათვის, საჭიროა ორი, ამის საშუალება კი, ასეთ მძიმე სიტუაციაში რეალურად არ არის. საქალაქო ტრანსპორტის მუშაობაზე და მის შემდგომ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს მგზავრობის იაფი ღირებულება, იგი 5 კაპიკს შეადგენს და როგორც ვიცით, დღეს 5 კაპიკად ასანთის ყიდვაც არ შეიძლება. ჩვენთვის კი წლიდან დაწყებული ჰაერამდე ყველაფერი თითქმის ათჯერ გაძვირდა. მაგალითისათვის ერთ ფაქტს მოვიყვან. თუ ფურცლოვანი თუნუქი, რომელსაც ათეულ ტონობით ვხარჯავთ, ადრე 195 მანეთი ღირდა, დღეს იგი 2000 მანეთი გვიჯდება. თითქმის იგივე მასშტაბით მოსალოდნელია საწვავის გაძვირებაც, რომელსაც ჩვენ 150 ტონამდე ვიყენებთ.

ვფიქრობთ, მგზავრობის ღირებულების გაძვირება გარდაუვალია. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ნაბიჯის შემდეგაც, სახელმწიფოსაგან დოტაციის მიუღებლად მაინც ვერ ვიარსებებთ, რადგანაც ერთი მგზავრის გადაყვანა დღეისათვის 60 კაპიკამდე გვიჯდება. თუ მოძრავი შემადგენლობის და სათადარიგო ნაწილების მოსალოდნელ გაძვირებასაც გავითვალისწინებთ, ერთი მგზავრის გადაყვანის ფასი 1992 წლიდან 80-90 კაპიკს მიაღწევს. რა თქმა უნდა, მგზავრობის ასეთ ღირებულებას ვერ დავაწესებთ, რადგან ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის ეს მიუღებელიც არის და მიუწვდომელიც.

დარგის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტარიფების მომატებასთან ერთად სატრანსპორტო გაერთიანება გათავისუფლდეს სახელმწიფო გადასახადებისა და ბიუჯეტში შენატანებისაგან. ამასთან ერთად იჯარის წესით და ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლებზე რეალიზებული ავტომანქანების ღირებულება მთლიანად დარჩეს სატრანსპორტო გაერთიანებას და ეს თანხა წარმართოს მატერიალურ-ტექნიკური განვითარების და ახალი მოძრავი შემადგენლობის საყიდლად.

სატრანსპორტო მომსახურებას თავის მხრივ სერიოზული დღი დააჩნია იმან, რომ უკანასკნელ დროს, გახშირდა მძღოლებზე თავდასხმები და მსუბუქი ავტომანქანების გატაცების ფაქტები, მარტო წელს გატაცებულია 78 მსუბუქი ავტომობილი, მოკლულია 4 მძღოლი, დაჭრილი და დასახიჩრებულია — 28, უგზოუკვლოდ კი 2 მძღოლია დაკარგული.

მდგომარეობის გარკვეულწილად გაუმჯობესებისათვის აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: მოსახლეობის თანხმობით უნდა გაიზარდოს სამგზავრო ტარიფები. მოხდეს გაჩერებების შემცირება და იგი ფხით მოსაიარულეთა ზღვრებში მოექცეს, ეს კი დაახლოებით 600-800 მეტრს შეადგენს. ახლა ჩვენთან ყოველ 200-250 მეტრზე გაჩერებაა. შესაბამისად კარგი იქნება მეტროს ხაზის პარალელური მარშრუტების შემცირება, მათი დამოკლება იმ თვალსაზრისით, რომ მჭიდროდ დასახლებული რეგიონებიდან და მასივებიდან მოსახლეობა დროულად მიეიყვანოთ მეტროს პირველ შემხვედრ სადგურამდე. საწარმოდაწესებულებებმა მათი კუთვნილი ე. წ. საუწყებო სამგზავრო ტრანსპორტი, რომელიც ქალაქში 1400 ერთეულს შეადგენს, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ თავიანთი მუშა-მოსამსახურეების სამსახურში მიყვანის და სახლში დაბრუნების უზრუნველსყოფად — და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში ხდება. ზოგიერთნი გაერთიანებიდან ავტობუსს არენდის წესით ქირაობენ და მას არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

კვლავაც ძალაში დარჩება სატრანსპორტო გაერთიანების ზრძანება მსუბუქი ტაქსების იჯარაზე გადაყვანის აკრძალვისა და ქალაქის ფარგლებიდან ნებართვის გარეშე მათი გაშვების თაობაზე.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია მძღოლის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. რაიონიდან ჩამოსულ მძღოლებთან ყოველგვარი ხელშეკრულება შევწყვიტეთ იმის იმედით, რომ ქალაქელებს მივიღებდით სამუშაოდ და ხელფასს გავუზრდიდით, მაგრამ მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მძღოლებისათვის ხელფასების გაზრდა ვერ მოვახერხეთ. 300-400 მანეთად კი მძღოლი სამუშაოდ არ მოდის. არადა, გულწრფელად რომ ვთქვათ, სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა მძღოლია, რომლის სამუშაო ადგილი ჩვენი დედაქალაქია. აქ კი არ არის დასასვენებელი ადგილები, მოუგვარებელია კვების საკითხები. ქალაქში 12 საათის განმავლობაში მომუშავე მძღოლს კვება დღეში 14-15 მანეთი უჯდება, გაზიანი წყლის 4-5-ჯერ დალევა კი ორ მანეთზე მეტი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, მოსახლეობა არ უნდა შეშფოთდეს. ჩვენი პესიმიტური განწყობილება სათანადო ღონისძიებების განხორციელებით ოპტიმიზმით უნდა შევცვალოთ. ღონიერობით რესპუბლიკის მთავრობის და ტრანსპორტის სამინისტროს გადაწყვეტილება, ბარტერული გაცვლის საფუძველზე ითვალისწინებს თურქეთის დახმარებით უნგრეთიდან ჩვენთვის 240 ათასი დოლარის „იკარუსის“ სათადარიგო ნაწილების შემოტანას, ასეთივე გზით ყველაფერი კეთდება ჩეხოსლოვაკიიდან ტროლეიბუსის სათადარიგო ნაწილების მისაღებად.

რესპუბლიკის სხვადასხვა სამრეწველო ქარხნებმა უკვე დაიწყო ჩვენი მოძრავი შემადგენლობისის სათადარიგო ნაწილების დამზადება და წლის დამლევამდე ნახევარი მილიონი მანეთისაზე მეტი ღირებულების ნაწილების გამოუშვებენ.

მოქალაქეები ხშირად გვეკითხებიან, სატრანსპორტო მოძრავი შემადგენლობის მიუღებლობა საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლობის მიზეზი ხომ არ არის. მინდა ყველას ვუთხრა, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის, ვინაიდან ე. წ. სსრ კავშირის ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში საქალაქო ტრანსპორტის შევსების მიზნით უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის შემყურენი იყვნენ. ამ რესპუბლიკებმაც თავიანთი პროდუქციით — იკარუსის ავტობუსებითა და შკოდას ტროლეიბუსებით — მთელ სოციალისტურ სამყაროში თავიანთი მონოპოლია შექმნეს. ისინი სოციალისტურ ქვეყნებს ამარაგებდნენ ტრანსპორტით, ამასთან ყოველ წელს საბჭოთა მანეთებზე ზრდიდნენ თავიანთი პროდუქციის ღირებულებას, ბოლოს კი, ვალუტა მოითხოვეს. ვალუტის საშუალება კი არც ე. წ. კავშირს და არც სხვა რესპუბლიკებს არ გააჩნიათ. თუ ჩვენს რესპუბლიკაში ვალუტა გამოინახება, ცენტრის გარეშეც შეიძლება ამ ქვეყნებთან კავშირურთიერთობა, ფაქტია ის, რომ ჩვენი ე. წ. კავშირის ვერც ერთი რესპუბლიკა დღესდღეობით თანამედროვე ტიპის მასობრივი ტევადობის საქალაქო-სამგზავრო ტრანსპორტს ვერ უშვებს, რაც საკავშირო მთავრობის მიერ წლების მანძილზე დაშვებული შეცდომების ბრალია.

გვახსოვდეს, რომ ტრანსპორტის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებასა და მის ნორმალურ მუშაობაზე.

**ლალი ქიქნაძე.**

# საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლები

[illegible]

**ა. ზარიძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.**

## სატკივარი

# გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს

**შიდა ქართლის** ხუროთმოძღვრული ძეგლები აშკარად მეტყველებენ ჩვენი წინაპრების მაღალ კულტურასა და შემოქმედებით უნარზე, მრავალსახოვან ჩუქურთმებში მშობლიური სიმფონია რომ ააჟღერეს, და ერის ღაღადისად შემოუნახეს თაობებს. მართალია, ბევრმა მათგანმა დღემდე მოიტანა თავისი პირვანდელი სახე, მაგრამ ბევრმაც ჟამთა სვლაში ვერ გაუძლო ავბედობას და დღეს შველას ითხოვს.

დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ ხეითში დგას შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ძეგლი — საბაწმინდის ტაძარი, რომლის კედელზე გამოკრული ტრაფარეტი გვაუწყებს, რომ იგი სახელმწიფო აღრიცხვაზეა აყვანილი და სახელმწიფოვე იცავს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოციოდე წლის წინ გამოკრული ტრაფარეტი მხოლოდ ფორმალური მინიშნება იყო, თორემ სახელმწიფოს ამ ხნის მანძილზე მის დასაცავად, მისი რესტავრაციისათვის არაფერი გაუკეთებია.

რა მდგომარეობაშია ახლა ტაძარი?

მთლიანად მორყეულია საძირკველი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი მორღვეულია და დღეს თუ ხვალ ჩამოიქცევა. გუმბათის კალთა მთლიანად ჩამონგრეულია. წვიმა და თოვლი ნგრევის პირას აყენებს დაუცველ აღმოსავლეთის მრავალსახა ჩუქურთმოვან კედელს.

სამაჩაბლოს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონითა და ეპოქისთვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებით სათანადო ადგილი უკავია დოდოთის ცხრაკარას. ძეგლს ისტორიკოსები X-XI საუკუნით ათარიღებენ. მასზე შემორჩენილი წარწერაც ამას გვამცნობს. ვკითხულობთ ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერას: „ქ. სახელისა ღმრთისაითა ივანე ერისთავმან ტბელმან აღაშენა ესე წმინდაი ეკლესიაი სალოცავად მისთვის და ხუთთა ძეთათუის“. ისტორიით ცნობილია, რომ ივანე ტბელი გამოჩენილი პიროვნება იყო, რომელმაც ქართლში რამდენიმე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი ააშენა. საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის ამაღლებული რწმენის სამსახურში იდგა დოდოთის ცხრაკარა. ასეთი ძეგლი დღეს სრული განადგურების პირზეა მისული. მთლიანად მოშლილია გუმბათი, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ნახევრად დანგრეულია. დანარჩენი კედლებიც დღითი დღე ინგრევა. ძეგლის ირგვლივ ალაგ-ალაგ ყრია ჩუქურთმიანი ქვები, რომლებსაც ღრეობის მოყვარულნი სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებენ. მის მოვლა-პატრონობაზე ბევრჯერ ითქვა, მაგრამ...

პატარა ლიახვის პირას ქარაფოვან კლდეებზე აღმართულია ბელოთის მაღალკოშკებიანი ციხე-გალავანი, საუკუნეების მანძილზე ძლიერ ბასტიონს რომ წარმოადგენდა ხეობაში შეჭრილი მტრების საწინააღმდეგოდ. ციხე-გალავნის შიგნით მაცხოვრის ეკლესია, რომლის აშენებასაც ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები X საუკუნით ათარიღებენ. ჟამთასვლასა და დროთა სიავეში გამოვლილი ძეგლი წელს ზაფხულში მიწისძვრის შემდეგ უფრო მეტად დაზიანდა. კედლები ბევრგან დაიბზარა და დაინგრა. ციხე-გალავნის ბედი ბეწვზე ჰკიდია.

ისტორიული ძეგლებით მდიდარი პატარა ლიახვის ხეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გერის წმინდა გიორგის ეკლესიას ენიჭება. ძეგლი, გადმოცემის თანახმად, ფარსმან მეფის (VI ს.) ხანაშია აშენებული. თავისი სასწაულმოქმედებით მთელს საქართველოშია ცნობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე ხნის წინათ ოსმა ექსტრემისტებმა საუკუნეებგამოვლილი ქართველთა ეს რწმენის კედელი ააფეთქეს...



კი ააფეთქეს, მაგრამ შეიძლება ხუროთმოძღვრული ძეგლის განადგურების მცდელობით შიდა ქართლში ქართული ეთნოსის ისტორიული არსობის კვალი წაიშალოს?!

ფრონის ხეობაში, სოფელ წორბისიდან რამდენიმე კილომეტრზე გზის მშენებლობის დროს ტრაქტორმა მიწაყრილის მოსწორებისას შემთხვევით ამოაგდო ქვის დიდი ფილა ქართული ასომთავრული წარწერებით. მშენებლებმა ფილა ქალაქ ცხინვალში მაშინდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ჩაიტანეს. წარწერა თავის დროზე პროფესორმა ი. მეგრელიძემ გაშიფრა, მაგრამ რა ბედი ეწია უძველეს ქართულ წარწერიან ფილას?

ფილა, რომელიც უძველეს ქართველთა ცხოვრებას ასახავდა, ერთხანს ინსტიტუტის შესასვლელში ეგდო და ოსი მეცნიერ მუშაკები ისე უცქეროდნენ, როგორც ბაცილას რასმე,. შიდა ქართლის ოსეთად წარმომდგენნი შურით, ღვარძლით განეწყობოდნენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მოწმე ქვამატიანესადმი და განაჩენიც თავიანთებური გამოუტანეს — 1000-წლიანი ფილა ინსტიტუტის შენობის უკანა მხარეს ნაგავში გადაუგდიათ, რომელსაც თოვლისა და წვიმის წყალი ზედ დასდის და აფერმკრთალებს უძველეს ქართულ ლაპიდარულ წარწერას.

დღემდე კი განმკითხავი არავინ ჩანს.

ქსნის ხეობაში ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი ლარგვისის ციხე-გალავანსა და მონასტერს უკავია. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ლარგვისის ძეგლი VI საუკუნეში ქსნის ერისთავებს აუგიათ.

ლარგვისი საუკუნეების მანძილზე ქსნის ერისთავების ძლიერ რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო ქსნის საერისთავოს რეზიდენციის ახალგორში გადატანის შემდეგ ლარგვისმა დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ ციხე-გალავანი მაინც ძლიერ ბასტიონს წარმოადგენდა ხეობაში შეჭრილი მტრების საწინააღმდეგოდ. ქართველთა სისხლის დამქცევმა თემურ ლენგმაც შეაღწია ლარგვისამდე. მონასტერი გაძარცვა და ათასობით ტყვედქმნილი გზას გაუყენა შუა აზიისაკენ. ქსნის ერისთავთა მიერ აღდგენილი ძეგლი საუკუნეების მანძილზე სამშობლოს სამსახურში იდგა.

დროთა ავბედობაში დანგრეული მონასტერი რესტავრირებულია, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. შარშან იგი ამოქმედდა კიდეც, მაგრამ მაინც პრობლემების წინაშე დგას. გალავან აღმოსავლეთის მხარეს შმაგი ქსანი ჩამოუდის და ყოველ გაზაფხულზე მდინარე გალავნის ბურჯებს დანგრევის საშიშროებას უქმნის. კარგი იქნება, თუ ახალგორის პრეფექტურა რამეს იღონებს მის გადასარჩენად, რისთვისაც რამდენიმე ბეტონის ფილაა საჭირო, რომ ღობე-ჯებირი გაკეთდეს და გადარჩენილი ძეგლი საღად გადავცეთ მომავალ თაობებს.

იკორთის ცნობილი ტაძრის (ყოფილი ცხინვალის რაიონი) გვერდით ტაფობზე აღმართულია მაღალ ბურჯებიანი ციხე-გალავანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქსნის ერისთავთა გამგებლობაში შედიოდა. ქართლის ბურჯ ციხე-გალავანს დღესაც ახსოვს შაჰ აბასის, ოსმალთ ფაშებისა თუ სხვა ჯურის მომხვდურთა შემოსევები. მამულის დამცველთა სისხლით ბევრჯერ შეღებილა ქვიტკირის კედლები, მაგრამ ზღუდეებდალეწილს აღადგენდნენ ხოლმე და კვლავ მამულის სამსახურში აყენებდნენ. უკანასკნელად ციხე-გალავანმა შანშე ქსნის ერისთავის თავკაცობით დიდი ბრძოლა გადაიტანა სპარსი სარდლის სეფი ხანის მხედრობასთან. იკორთას გამაგრებული შანშე ერისთავის მხედრობა მთელ ზაფხულს იცავდა ხეობას... ბოლოს სურსათგამოლეულმა შანშემ თავისი მხედრობით ღამე გაცლა ამჯობინა და იკორთის ციხე-გალავანიც სპარსთა ხელში აღმოჩნდა. მომხვდურმა ისე გადასწვა და დაანგრია, რომ მისი აღდგენა დიდხანს ვერ მოხერხდა.

იკორთის ციხე-გალავანმა თავისი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაკარგა და მხოლოდ ისტორიის კუთვნილება გახდა.

ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილი ძეგლი მშველელს უხმობს.

სოფელ ტბეთის (ყოფილი ცხინვალის რაიონი) ტერიტორიაზე იდგა წითელი ქვით ნაშენი „ყვავისაყდარას“ ეკლესია, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა სოფლის სულიერ ცხოვრებაში. მართალია, დღეს ძეგლის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი, მაგრამ მის მრავალსაუკუნოვან კედლებში დღესაც კარგად იკითხება ქართველი კაცის დიდი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ისტორია. ძეგლს რაც ჟამთასვლამ ვერ დააკლო, უსულგულო ადამიანებმა აუსრულეს. ძეგლს წითელი, ნათალი ქვები შემოაცალეს და საკუთარი სახლების ასაშენებლად წაიღეს. საინტერესოა, როცა ძეგლს ძარცვავდნენ, ოსურ სოფელში ნუთუ არავის დაებადა აზრი, იგი ეხსნა ავისმქნელების ხელყოფისაგან?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოველი ხუროთმოძღვრული ძეგლის დაცვა ძნელი საქმეა, მაგრამ მის მოვლა-პატრონობაში გადამწყვეტი როლი მაინც მოსახლეობამ, კერძოდ, ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს. სკოლების, საზოგადოებრივი მეურნეობების ახალგაზრდებმა ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და შეფობა იკისრონ ისტორიულ ავბედობაში გამოვლილი ძეგლებისადმი, რათა ისინი კვლავ ჩვენი ერის სამსახურში ჩავაყენოთ.

**გივი ბორცვაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

• • •

**სურათზე:** იკორთის ციხე-გალავანი.

# არხოტი—არწივთა საბუდარი

**„გწყალობდეთ** წმინდა მიქაელი, მთავარანგელოზი ციდან უხორცოდ ჩამოფრენილი, გწყალობდეთ წმინდანი ყოველი და გწყალობდეთ წმინდა გიორგი საქართველოს ზეციური მთავარსარდალი“. —თემი და საქართველო დალოცა ხევისბერმა. 23 ნოემბერს მთელი მართლმადიდებელი სამყარო ზეიმობდა წმინდა დიდმოწამის გიორგის დღესასწაულს. გიორგი კაბადუკიელი მფარველია მხედართა და გაჭირვებულთა, ალბათ ამიტომაცაა, რომ გიორგობა გამორჩეული დღესასწაულია საქართველოშიც. სწორედ გიორგობა დღეს 23 ნოემბერს ვეწვიეთ არხოტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროს ბატონ იოსებ ბარათაშვილთან, უზენაესი საბჭოს კურატორ ბატონ ბადრი ჯაფარიძესთან, დუშეთის რაიონის პრეფექტურის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად.

არხოტი — ჯიხვთა საუფლო და არწივთა საბუდარი, არხოტი — უდრეკი ციხე საქართველოსი, არხოტი — მრავალჭირთამთმენი, მაგრამ მაინც დაუმარცხებელი არხოტი.

1956 წელს კომუნისტებმა გადაწყვიტეს ხერხემალში გაეტეხათ მაღალი ეროვნული კულტურისა და ტრადიციების მქონე რესპუბლიკები, რათა ძვალსა და რბილში გამჯდარი ეროვნული ტრადიციებით მდიდარ მთიელთა ბარში ჩასახლებით საბოლოოდ აღმოეფხვრათ მათგან ეროვნულობის გრძნობა და ერთიან საბჭოთა ფერხულში ჩაებათ ისინი. ასეთ რესპუბლიკად, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საქართველო და მისი ურყევი ტრადიციებით მდიდარი ხევსურეთი ითვლებოდა. და აი 1956 წელს ბარბაროსული იდეებით მოწამლული დამსჯელი რაზმები თავს დაატყდნენ ხევსურეთს, ისინი ვერ შეაკრთო ხევსურ დიაცთა ზვეწნა-მუდარამ, მამაკაცთა წინააღმდეგობამ. ცრემლად და სისხლად იცლებოდა ხევსურეთი, ზოგიერთმა მათგანმა თვითმკვლელობითაც კი დაასრულა სიცოცხლე, რადგან მშობლიური სანახების სამუდამო მიტოვებას სიკვდილი ირჩია. ხევსურები მათრახისა და იარაღის ძალით გამორეკეს მთიდან და კახეთის ზონაში მათთვის განკუთვნილ ქოხმახებში ჩაასახლეს. მაღალ კლიმატურ პირობებს შეჩვეულმა ადამიანებმა ბარის პაპანაქებას ვერ გაუძლეს და ამ მიზეზით მარტო სოფელ გამარჯვებაში 150 ჩასახლებულთაგან იმავე წელს 80-მდე ადამიანი გარდაიცვალა. მრავალმა ხევსურმა გადაწვა ბარში აშენებული სახლები და თავის ძველ საცხოვრის მთებს მიაშურა, ბევრმა ეს მთებიც გადაიარა და რუსეთში, კრასნოდარის მხარეში დაიდო ბინა. შემდგომ წლებში საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა უფრო „ფაქიზად“ მოპყრობოდა ხევსურთა საქმეს და ამჯერად კლიმატურად ნაკლებადგანსხვავებული დუშეთის რაიონის ბარის სოფლები აივსო მთიდან ჩამოსახლებული ხევსურებით. იყო დრო, როცა არხოტიც ნადირთა და ყაჩაღთა სათარეშოდ იყო დაგდებული. ამჟამად წელმომაგრებული და ადამიანებით დასახლებული არხოტი თანამემამულეთა თანადგომას მოითხოვს. აღელვებული იყო არხოტიონის თემის მთავარი ხევისბერი, ცნობილი ქართველი პოეტის, გაბრიელ ჯაბუშანურის ძმა ციცკა ჯაბუშანური. გიორგობა დღეს აქ მწყობრში ჩადგა მდინარე ასაზე აგებული მცირე ელექტროსადგური, რომელმაც სინათლე და სითბო შეიტანა ხევსურთა ოჯახებში. საქართველოს ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელმა კავშირმა, ყოველგვარი მითითებებისა და დადგენილებების გარეშე, საკუთარი ინიციატივითა და ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ხარჯებით სულ რაღაც სამ თვეში შეძლო წლების მანძილზე გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება. სათაო ნაგებობა, კილომეტრნახევარი სიგრძის საწნეო მილსადენი, საგენერატორო შენობა თავისი ტურბინითა და გენერატორით, რომელსაც 60 კილოვატი ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია, ენერგეტიკოსებს 1,5 მილიონი მანეთი დაუჯდათ. „ბატონმა ლადომ და მისმა ბიჭებმა ლომებივით იმუშავეს და არხოტის თემს საანდრეზო საქმე (ხევს. დიალექტი — საისტორიო საქმე) გაუკეთესო“ — გვითხრა ციცკა პაპამ. როგორც ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელი კავშირის წევრებისგან შევიტყვეთ, წლეულს არხოტის ჰესის მხოლოდ პირველი რიგის სამუშაოებია ჩატარებული, მისი მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება და მცირე ჰესის მაქსიმალური სიმძლავრე საათში 200 კილოვატ ელექტროენერგიამდე მიაღწევს. ლადო ხუციშვილი, პრეზიდენტთან არსებული ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებისა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბის უფროსი, საქართველოს ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელი კავშირის წევრი, არხოტელთა დიდი მეგობარი და ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი ამ გიორგობას არხოტის ჯვრის ყმად ეკურთხა. ხევსურები თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის მოადგილის ნუგზარ ლეჟავას, სპეცსამშენებლო სარემონტო ტრესტის მმართველის კობა ქარსიძის, ჰიდროტექნიკოს გელა გაბედავას, იმავე ტრესტის მცირე ჰესების სამონტაჟო სამშენებლო სამმართველოს უფროსის ვიტალი სულამანიძის, სამუშაოთა მწარმოებელ ავთანდილ ტყეშელაშვილის, ოსტატის ალექსანდრე გელაშვილის და სხვათა მისამართით.

ასას ხეობაში ურთულეს გეოგრაფიულ გარემოში და მძიმე პირობებში გაიჭრა 12 კილომეტრი სიგრძის შესანიშნავი გზა, რომლის მშენებლობაც „კავგვირაბმშენის“ სამმართველოს (უფროსი ა. ჩალაძე) კოლექტივმა ითავა. მდინარე ასაზე ამჟამად კიდევ ხუთი კაპიტალური ხიდია ასაგები. როგორც „კავგვირაბმშენის“ სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა იველი მაისურაძემ გვითხრა, ხიდების მშენებლობა წელსვე დამთავრდება, მომავალი წლიდან კი სამმართველოს კოლექტივი არხოტელებს თვრამეტი საცხოვრებელი სახლის აშენებას ჰპირდება.

სიცოცხლისა და სიმრავლის ხალისი ჩქეფს არხოტში, ჭიუხებიდან დაქანებულ არწივთა ყივილს ხევსურთა ბალღების ყიჟინა ეხმიანება და შინაგანად გრძნობ აღარასოდეს დაიცლება კაცთაგან საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელი ეს ძირძველი ქართული მიწა.

**ანზორ სულიაური,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

## მამული ჩემი

# ახალი სოფელი საქართველოს რუკაზე

**რესპუბლიკის** რუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი ახალი სოფელი:: თბილწყარო. ეს სტატუსი მიიღო გარდაბნის რაიონის ერთ-ერთმა დასახლებამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სამარცხვინო სახელით „პოსიოლოკ მოლსოვხოზად“ იწოდებოდა, ხოლო ის „მოლსოვხოზი“ ქართველი ხალხის ერთ-ერთი დამპყრობის — კიროვის სახელს ატარებდა.

ეს დიდი ხნის ჩანაფიქრი განხორციელდა ადგილობრივი მეცხოველეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შრომითი კოლექტივის კრებაზე. აღნიშნულს წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. მეურნეობის დირექტორმა ჯემალ კალანდაძემ ოფიციალური წერილით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრს — ტოპონიმიკის ლაბორატორიას, რათა მეცნიერულ დონეზე, ისტორიული წყაროების მოშველიებით შეერჩიათ ახალი სოფლის სახელწოდება. მეცნიერ მუშაკი უშანგ სახლთხუციშვილი რამდენჯერმე იყო ადგილზე, გულდასმით გაეცნო საქმის ვითარებას.

— რადგან ამ ადგილზე წარსულში რაიმე დასახლების ან სოფლის არსებობა გამორიცხულია, — თქვა მან, — ამას მატიანე და სხვა ისტორიული მასალა არ ამტკიცებს, ჩვენ სხვა გზით წავედით, ვურჩიეთ მეურნეობის ხელმძღვანელობას და აქაურ მაცხოვრებლებს მომავალი სოფლისათვის თბილწყარო შეგვერქმია. ზედგამოჭრილი სახელია იმიტომ, რომ ამ ოციოდე წლის წინათ გეოლოგების საძიებო მუშაობის დროს ჭაბურღილიდან უხვად ამოხეთქა დიდი დებეტის, 40-მდე გრადუსი სითბოს გოგირდოვანმა ცხელმა წყალმა. სოფელი აშკარად გაამართლებს ამ სახელწოდებას. ცხადია, ეს წინადადება ერთსულოვნად იქნა მიღებული. მას მხარი დაუჭირა რაიონის პრეფექტურამაც, მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დასახლება საკმაოდ მოზრდილია. 350 ოჯახი ცხოვრობს მის ტერიტორიაზე. იგი მრავალეროვანია, ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები... თბილწყაროს საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორი ჯემალ კალანდაძე ახლა მისი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის იღვწის. გარდაბნის სანახებში 180 ჰექტარი საუკეთესო ფართობი გვაქვს, — ამბობს იგი, — ახლა მას საპროექტო ინსტიტუტი „საქსოფლპროექტი“ აპროექტებს, აქ უნდა იყოს მომავალი ქართული დასახლება, სადაც მოსახლეობას ჩამოვასახლებთ სტიქიისაგან დაზარალებული რაიონებიდან, აგრეთვე ჰარბი მუშახელის ზონის სოფლებიდან. მათ აქ ცხოვრების ჩინებული პირობები ელოდებათ. მიწა სარწყავი და ღალიანია და უხვ მოსავალს იძლევა. ახალმოსახლეებს არც გზა ექნებათ გასაყვანი, არც ელექტრონი, არც ბუნებრივი გაზი. აქ ყველაფერია, სოფელი რაიონულ ცენტრს — გარდაბანს ემიჯნება. სკოლას, კლუბს, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებს მეურნეობა საკუთარი სახსრებით ააგებს. მის ანგარიშზე ბანკში სოლიდური თანხაა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: თავისი არსებობის მანძილზე წელს მეურნეობა პირველად გახდა მომგებიანი, ეს მისი ახალი და ახალგაზრდა დირექტორის ჯემალ კალანდაძის დამსახურებაა. ხალხიც იგივეა და საძნავ-სათესი სავარგულებიც, მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა კი ერთ წელიწადში თითქმის ერთნახევარჯერ-ორჯერ გაიზარდა. მკვეთრი გარდატეხა მოხდა მოკლე დროში. ამას რაიონის სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელები „უბრალო“ მიზეზებით ხსნიან: შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებით, აღრიცხვიანობის გაუმჯობესებით. წინათ ბევრი არ მონაწილეობდა შრომაში, მოწეულ მოსავალს იტაცებდა მოსახლეობა და ა. შ. ახალმა დირექტორმა კოლექტივზე დაყრდნობით ამ არასასურველ მოვლენებს გზა დაუხშო.

ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ახალჩამოსახლებულებს სამუშაო ულევი ექნებათ. საკმარისია ითქვას, რომ მეურნეობა ანვითარებს ახალ დარგებს. მაგალითად, ჩვენგან უკვე ნახსენები გოგირდოვანი თბილი წყალი შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. რესპუბლიკის ჯანმრთელობის ორგანოებიდან ახლა ელიან დასკვნას და აქ სამკურნალო აბანო გაიხსნება, სადაც წლის ყველა დროს მიიღებენ ავადმყოფებს და უმკურნალებენ. ეს მუშაკელსაც მოითხოვს და შემოსავლიანიც იქნება. მეურნეობას ექნება აგრეთვე თავისი მეფრინველეობის ფერმა, სადაც 25 ათასი ფრთა მოქცეული იყოლებათ. ეს ჩანაფიქრი მალე განხორციელდება. ყველა საჭირო მოწყობილობა შეძენილია და დაიწყება დამონტაჟება. მეძროხეობის ფერმაში კი ყველის დამამზადებელი საამქრო მონტაჟდება. მომავალი წლის მარტ-აპრილში თევზის პირველ „მოსავალსაც“ ელიან. „ცისფერ ჰექტრებს“ ჯერჯერობით 1,5 ჰექტარი უკავია. მაგრამ მალე მას ერთისამად გაზრდიან და თბილწყაროული „ცოცხალი“ უხვად წამოვა რუსთავისა და თბილისის მაღაზიებში.

მთავარი საზრუნავი კი მეურნეობის ძირითადი დარგის — მეცხოველეობის განვითარებაა. ესეც მეცნიერულ დონეზე ხდება. საამისოდ მიწათმოქმედების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეს მარცვლეული კულტურების განვითარებას, რადგან სამართლიანად მიაჩნიათ, რომ მეტი ფურაჟი მეტი ხორცი და რძეა. ხორბლის, ქერისა და სიმინდის ნათესები თითქმის 500 ჰექტარით გაიზარდა. ხორბლის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 35 ცენტნერამდე აიყვანეს. მეურნეობას აგერ უკვე ოთხ თვეზე მეტია კომბინირებული საკვები არ მიუღია და რომ საკუთარი მარცვლეული არა, პირუტყვი შიმშილით დაეხოცებოდათ. მომავალში თბილწყაროელები მთლიანად საკუთარი ფურაჟით დააკმაყოფილებენ ფერმებს. აღსანიშნავია, რომ მარცვლეულის ნათესები გაიზარდა ბოსტნეულის ფართობების შემცირების ხარჯზე. თუმცა ამას არ გამოუწვევია ბოსტნეულის საერთო წარმოების შემცირება, რადგან მკვეთრად გაზარდეს მისი ჰექტარობრივი მოსავალი.

მძლავრი ეკონომიკა საშუალებას იძლევა თბილწყარო იქცეს თანამედროვე განვითარებულ სოფლად. ამ დღეებში ახალმოსახლეობას იზეიმებენ აქაური ნორჩები. მათთვის აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელსაც ჩინებული საძინებელი და დასასვენებელი ოთახები აქვს. გათვალისწინებულია კლუბის აგება. თუ სათანადო დახმარება იქნება, მთლიანად შეცვლიან ელექტროგადამცემ ხაზებს, შეაკეთებენ შიგა სასოფლო გზებს. ერთი სიტყვით აქ საზრუნავიც ბევრი აქვთ და ენთუზიაზმიც, რათა ახალშობილი სოფელი თბილწყარო მდიდარი და ძლიერი იყოს. წყალთა მეურნეობის მუშაკებთან ერთად კი გადაწყვეტილი აქვთ. დააშრონ დაჭაობებული ადგილები და გზა მისცენ გრუნტის წყალს, რომელიც წვიმიანში სოფელში გავლას თითქმის შეუძლებელს ხდის.

გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში თბილწყაროს მხარდამხარ გაჩნდა კიდევ რამდენიმე ახალი სოფელი. კოხტა ქალაქს მოგვაგონებს თავისი მრავალსართულიანი სახლებით მეფრინველეთა სოფელი წინუბანი. ლემშვენიერაში რაც სიტყვა-სიტყვით სრულიად სვანეთს ნიშნავს, სტიქიისაგან დაზარალებული სვანების ხუთასამდე ოჯახი დამკვიდრდა, ნაგებში 300-ზე მეტი ოჯახი ჩამოსახლდა საქართველოს მთიანეთიდან, კრწანისის ახალ დასახლებაში, კიდევ სტიქიისაგან დაზარალებული სვანები და აჭარლები დასახლდნენ ან სახლდებიან, აქ შეიქმნა კრწანისის საკრებულოც. ახალი ქართული სოფელი შენდება ვაზიანთან ახლოს, რომელსაც ჯერ სახელწოდებაც არ გააჩნია. სოფელ მუხროვანში ასზე მეტმა აჭარიდან ჩამოსახლებულმა ჩაყარა სახლის საძირკველი. მთლიანად რაიონს უკანასკნელ პერიოდში ათიათასზე მეტი ქართველი შეემატა და მკვეთრად გაუმჯობესდა რეგიონის დემოგრაფია.

ახლა რაიონის რომელ კუთხეკუნჭულშიც არ უნდა მიხვიდეთ, ყველგან სამშენებლო პოლიგონია გადაშლილი. კვლავაც შენდება ქართული სოფლები, სახლდება ახალი ოჯახები. ამ მხრივ მუშაობა შემდგომში გაფართოვდება და ძირძველ მშობლიურ მიწაზე იმრავლებს ქართული ჯიში და ჯილაგი.

**დავით ბიწაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.**

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული

„ᲐᲠᲪ ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნებაო", — ბრძანებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

1918-1921 წლების საქართველოს ჭეშმარიტი სურათის აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამავე პერიოდის ქართული ფულის მეცნიერულ შესწავლას.

აღნიშნულ პრობლემას უფრო აქტუალურს ხდის ის გარემოება, რომ სულ რამდენიმე თვეში ეროვნული ვალუტა შემოვა მიმოქცევაში და ცხადია, რომ ისტორიული ფაქტების ობიექტურ შეფასებას და წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას დღეს წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს.

ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით მიიღებს მისთვის აქამდე თითქმის სრულიად უცნობ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ამ მოკლე მიმოხილვას, რომელიც დამუშავებულია ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და ლიტერატურის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის მაისისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვაში იყო რამდენიმე ტიპის ვალუტა: 1. მეფისდროინდელი „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები", 2. დროებითი მთავრობის ფული ანუ ე. წ. „კერენკები" და 3. ამიერკავკასიის კომისარიატის „ბონები". ამას ემატებოდა ზოგიერთი ქალაქის (მაგალითად, გაგრის) თვითმმართველობის მიერ გამოშვებული ფულის ნიშნები, რომლებსაც ძირითადად [illegible]

[illegible]



დაათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს ტფილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი, ან ერთ-ერთი ხელ-მოწერი, ან ნომერი, უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

8. ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ. 1919 წ. ივლისის 11".

დედანს ხელს აწერენ: საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

1920 და 1921 წლებში მანამდე გამოშვებული ქართული ბონების რვა ნომინალს დაემატა კიდევ ორი ბონი — 1.000 და 5.000-მანეთიანები.

აღსანიშნავია, რომ პროვოკატორთა მიერ მოსახლეობაში ვრცელდებოდა ათასგვარი დეზინფორმაცია, რაც იწვევდა მასობრივ პანიკას ფულის რეფორმასთან დაკავშირებით. დაშინებული მოსახლეობა ყველანაირად ცდილობდა შემნახველ სალაროებში მიბარებული თანხის გამოტანას.

იმ დაძაბული სიტუაციის შესახებ, რომელიც სუფევდა ქართული ფულის გამოშვებამდე, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კონსტანტინე კანდელაკის მოგონებები, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს ბონის" გამოშვებისათვის დანიშნულ დღეს, დილიდანვე აუარებელი ხალხი მიაწყდა სახელმწიფო ბანკის კარებს, ბევრი იმათგანი ალბათ რაიმე სკანდალის მოლოდინში, ხოლო დიდი იყო გაკვირვება, როცა ბანკის კარებზე სრულიად მოულოდნელი განცხადება წაიკითხეს: „საქართველოს ბონი

ფრანგული ფრანკი. ამას ემატებოდა ადგილობრივი ფულადი სუროგატები, რომლებიც გამოდიოდა ბათუმში (1919 წ.), ტყიბულში (1919 წ.), ქუთაისში (1921 წ.), აგრეთვე გაგრაში, სოჭში, სოხუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, რომლის მიმოქცევასაც მეტად ლოკალური ხასიათი ჰქონდა.

იმ კატასტროფულ ვითარებასთან შედარებით, რომელიც რუსეთის ცარისტული იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში იყო, საქართველოში სტაბილური მდგომარეობა სუფევდა. მიუხედავად დაჩქარებული ინფლაციისა, რასაც, იმდროინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს ვალუტის მსგავსად, ქართული ფულიც განიცდიდა, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მტკიცე ფულის ერთეულად ითვლებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მოჭრილ ნებისმიერ ფულის ნიშანთან შედარებით. მაგალითად, დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც ერთი ამერიკული დოლარის საბაზრო ფასი 5.000 ქართულ მანეთს უდრიდა, პოლონეთში, იგივე ერთი დოლარის შესაძენად 10 მილიონამდე მარკა იყო საჭირო. მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ქართული ბონების საერთო რიცხვს, ამიერკავკასიის ბონების დამატებით, 18 მილიარდ 940 მილიონი მანეთისათვის არ გადაუჭარბებია, თითქმის იმავე პერიოდში კი (1923 წ.), პოლონური ფულის რაოდენობა კოლოსალურ ციფრს — 600 ტრილიონ მარკას აღწევდა! საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო, რომელსაც როგორც შინაური, ისე გარეული მტრისაგან ერთი წუთით მოსვენება არ ჰქონია, ფინანსური თვალსაზრისით, გაცილებით უკეთეს პირობებში იყო, ვიდრე მასზე მრავალჯერ დიდი და ევროპის ცივილიზებული ქვეყნების გარემოცვაში მყოფი პოლონეთი. ანალოგიური სიტუაცია იყო გერმანიაში, ავსტრიაში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში მყოფი ნოე ჟორდანია, თავის მო-

ვილი ფულის სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობის თაობაზე.

სამწუხაროდ, [illegible] ჩანა[illegible] (ახალი, ნამდვილი ქართული ფულის სახელად „მარჩილის" აღდგენის სურვილთან ერთად) სულ ორიოდე თვეში დაასამარა ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა წითელმა არმიამ.

ბოლშევიკთა მმართველობამ ლახვარი ჩასცა საქართველოს ფინანსურ სისტემას. მარტო 1921-22 წლებში, ახალი ხელისუფლების მიერ გამოშვებულმა ქართული ფულის საერთო რაოდენობამ ტრილიონ 73 მილიარდ მანეთს მიაღწია.

იულიუს ბრაუნტალის (რომელმაც ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის დავალებით 1922 წლის აპრილში იმოგზაურა საქართველოში) წიგნში „კომუნიზმიდან იმპერიალიზმამდე — სურათები ბოლშევიკური საქართველოდან" გვხვდება ასეთი ცნობა: თუ 1921 წლის იანვარში, ერთი გირვანქა სტერლინგი 18.000 მანეთი ღირდა, 1922 წლის აპრილში, მისმა ფასმა უკვე 180.000 მანეთს მიაღწია, ე. ი. ქართველი ბოლშევიკების მარიონეტული რეჟიმის დამყარების წლისთავისათვის ქართული ფულის კურსი ათჯერ (!) დაეცა. მიუხედავად ამ კატასტროფული გაუფასურებისა, რაც ბოლშევიკთა მოუქნელი ფინანსური პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო, ქართული მანეთის კურსი მაინც რვაჯერ აღემატებოდა რუსული რუბლის კურსს (!).

სწორედ აღნიშნული ღირსების გამო, 1923 წლის იანვარში, როდესაც ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირეო საბჭომ ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი გამოუშვა, მას საფუძვლად ქართული ბონის შედარებით მტკიცე კურსი დაუდო.

**ნიკო ჯავახიშვილი,**
სტუდენტ-ისტორიკოსთა ლიგის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

**საზღვარგარეთ**

# ფრანგული პრესა რუსი ჟურნალისტების თვალით დანახული საქართველოს შესახებ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ დასავლელი კინემატოგრაფი ჭეშმარიტად ზეეროვნულად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ ასეთ ფილმებში მონაწილე მსახიობები სხვადასხვა ეროვნებისანი არიან და ხშირად არც იციან მოცემული ქვეყნის ენა.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება თანამედროვე საერთაშორისო ჟურნალისტიკაშიც. მოდით, გადავხედოთ იმ უცხოელ ჟურნალისტთა სააკრედიტაციო ბარათებს, ამ ბოლო ხანს რომ ესტუმრნენ ჩვენს რესპუბლიკას.

„ინფორმ ტელევიენი" (აშშ. ი. მატიუშინი, ი. მატვეევი).
„სი-ენ-ენი" (აშშ. რიბალჩენკო, ი. მაიოროვი),
„ასოშიეიტედ პრესი" (აშშ. ა. ზემლიანიჩენკო),
„ტაიმი" (აშშ. ა. ავაკიანი, ი. კოტლიარი),
„[illegible]მა პრესი" (საფრანგეთი, ს. კორაუხინი),
„გამა პრესი" (საფრანგეთი, ვ. ზაგიალოვი),
„ორფი" (ავსტრია, ვ. ანისიმოვი, ა. ვასილიევა).

ძნელი სათქმელია, რა შედეგებს იწვევს ჟურნალისტური „შრომის" ასეთი ინტერნაციონალისტური განაწილება, მაგრამ თუ გაზეთ „ფიგაროს" (საფრანგეთი) კორესპონდენტ ვლადიმერ ივანოვის საქართველოს შესახებ დაწერილი სტატიების მიხედვით ვიმსჯელებთ, ნათელი გახდება, რომ ინტენსიურად წარმოებს „ველიკოდერჟავული" იდეების გაქონვა დასავლეთის პრესაში.

ეს ვინმე ივანოვი გვევლინება დიდი შოვინისტური მექანიზმის პატარა ჭანჭიკად, რომლის დანიშნულებაა დეზინფორმაციების „ტირაჟირება". საერთოდ, საფრანგეთში შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ სსრკ-ს შესახებ სტატიების ავტორთა უმრავლესობა რუსული ემიგრაციის წრეებიდან შეივსოს. მაგალითად, ფრანგულ გაზეთ „მონდის" კორესპონდენტი, საქართველოს შესახებ ტენდენციური სტატიების ავტორი სოფი შიხაბი ეროვნებით რუსია, თუმცა, არაბი მეუღლის გვარით ინილბება. ვერ მოხერხდა იმის დადგენა ვლადიმერ ივანოვი საფრანგეთის თუ საბჭოთა კავშირის მოქალაქეა. მისი აშკარად დაბალი პროფესიული დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, უფრო აქაურია.

საქართველოს შესახებ ივანოვის მიერ დაწერილი პუბლიკაციები აშკარად არაპროფესიულია. დასავლეთში, როგორც წესი, მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი თავის სტატიაში თანაბრად წარმოაჩენს სხვადასხვა მხარის მოსაზრებას. რაც უფრო კარგი პროფესიონალია ჟურნალისტი, მით უფრო მარჯვედ იცავს ობიექტურობის ბალანსს. ამასთანავე, ერიდება სუბიექტურ შეფასებას, თავს იკავებს ემოციებისგან, ცდილობს დაიცვას ნეიტრალობა.

ამ სქემისადმი ერთგულება პროფესიონალი ჟურნალისტისათვის აუცილებელია, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ჟურნალისტი ჩადის მისთვის ნაკლებად ცნობილ ქვეყანაში, ბატონი ივანოვისათვის საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანაა, მაგრამ მის ნაწერებში ჩვენს შესახებ, ის სრულიად სცილდება დასავლეთის ჟურნალისტიკის ზემოთმოყვანილ სქემას (ივანოვის პირველი სტატია ეხებოდა საქართველოს ამასწინანდელ პოლიტიკურ კრიზისს „ფიგარო" (11 სექტემბერი). წერილში მოხმობილი გამონათქვამების უმრავლესობა ეკუთვნის ოპოზიციას. მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტებისათვის პრაქტიკულად ადგილი არ რჩება. ავტორს აშკარა სიამოვნებით მოყავს ოპოზიციის ლიდერთა აზრები. საქართველოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მიმართულ წყევლა-კრულვას ავტორი დიდი ასოებით გამოყოფს.

ფრანგი ჟურნალისტი მშვენივრად იყენებს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის სისუსტეს, რათა შექმნას ანტიქართული ფონი და მოახვიოს მკითხველს თავისი შოვინისტური თვალთახედვა. მისი ასეთი მეტად „ობიექტური" დამოკიდებულება მჟღავნდება უკვე შიდა ქართლისადმი მიძღვნილი სტატიის თვით სათაურში: „საქართველო — ოსები სასოწარკვეთილებაში არიან, ნაციონალისტები გათავისუფლდნენ მოსკოვის მეურვეობისაგან, თუმცაღა ისინი ჩაგრავენ ეროვნულ უმცირესობებს" (16 სექტემბერი).

ხსენებულ სტატიაში ჟურნალისტმა მთლიანად გამოამჟღავნა თავისი დეზინფორმაციული ტალანტი. არაპროფესიონალიზმის, კურიოზულობის, კომიზმის განცდას იწვევს ის გარემოება, რომ სტატია ეყრდნობა მხოლოდ ოსთა გამონათქვამებს, თანაც ისინი არიან სრულიად უცნობი, არაკომპეტენტური პირები (ავტორს მოჰყავს მხოლოდ მათი სახელები). ჟურნალისტი სტატიას იწყებს შეუსაბუთებელი ინტონაციებით, როცა შემთხვევითი ცხინვალელი გამვლელი წყევლას უგზავნის ჩვენს ხელისუფლებას და ეშმაკებს ადარებს. არც დანარჩენი მოსაუბრენი გამოირჩევიან დიდი ინტელექტითა და თავშეკავებით, ივანოვი კი მთელი გულისყურით იმოწმებს მათ გამონათქვამების ავტორი ამტკიცებს, რომ რუსის ჯარი წარმოადგენს სტაბილიზაციის ერთადერთ გარანტს შიდა ქართლში. ისინი, თურმე, კონფლიქტში მყოფთა შორის დგანან და ქართველთა თავდასხმას იგერიებენ. აქვე გატარებულია აზრი, რომ ჯარების წასვლა კატასტროფის ტოლფასია. ამით, ფაქტობრივად, ავტორი ქადაგებს საქართველოს პერმანენტული ოკუპაციის იდეას.

ეს აზრი დასაბუთებულია ვილაც ზემას სიტყვებით: „რატომ არ აცხადებს მოსკოვი საგანგებო წესებს? როგორც კი საბჭოთა ჯარი წავა, ოსები მაშინვე საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან". შემდეგი აბზაცი სენტიმენტალური ფილმის სცენარის პასაჟს გვაგონებს. ნაჩვენებია, როგორ ევლებიან თავს რუსები ოსებს. გულისამაჩუყებლად მოგვითხრობს ავტორი იმაზე, რომ რუსი ქალი ირინა ტაბულოვა ჩამოვიდა ცხინვალში ოსების დასახმარებლად.

იმისათვის, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ივანოვი რაღაც გამონაკლისია საერთო წესიდან, მივმართოთ მისი კოლეგის, ხსენებულ შიხაბის რამდენიმე პასაჟს გაზეთ „მონდიდან", (18 სექტემბერი), რომლებიც არც კი საჭიროებენ რაიმე კომენტარს: „გასულ გაზაფხულზე, ცხინვალიდან ქართული მილიციის განდევნის შემდეგ, ქალაქი დარჩა საბჭოთა ჯარს, რომელიც ადგილობრივი ოსების მფარველად და პატრონად მოგვევლინა".

„ქართველები, დასავლეთით აფხაზებსა და აჭარლებს, ხოლო აღმოსავლეთით სომხებსა და აზერბაიჯანელებს ებრძვიან. ამასთან, ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას, რადგანაც თვლიან, რომ ესეც მათი საკუთრებაა".

„ცხინვალელ ექთანს, ვინმე ვერას მიაჩნია, რომ ოსეთი უნდა შეუერთდეს რუსეთს, ან რომელიმე სხვა რესპუბლიკას, ოღონდ კი ქართველებს ჩამოშორდეს, ქართველებს, რომლებიც მხეცებივით იქცევიან".

„საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით, ოსები მეტად არიან რუსიფიცირებული, ამიტომაც მათი ცნობიერებაც მეტად „საბჭოურია".

აი, ასეთ პიროვნებებს უხსნის გულისნადებს ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი.

არ ვიქადაგებთ ქსენოფობიას, მაგრამ ზოგიერთებმა უნდა იცოდნენ, რომ დასავლელი ჟურნალისტის ცნებაში ყოველთვის არ იგულისხმება მაღალი ინტელექტი, განათლება, ზნეობის ეტალონი.

ზოგიერთი ოპოზიციონერი საზღვარგარეთ ისეთი ხასიათის ინფორმაციას ავრცელებს, რომელიც მიზნად ისახავს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის ოფიციალური კურსის დისკრედიტაციას. ადანაშაულებენ რა მათ ანტიდემოკრატიულ მისწრაფებებში, ამით ისინი ცდილობენ გაამართლონ თავიანთი პოლიტიკური რადიკალიზმი, კერძოდ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. მაგრამ ასეთი სახის პროპაგანდა, საზღვარგარეთ ხშირად იძენს ანტიქართულ ხასიათს და ხელს უწყობს ქვეყნის დანაწევრების იდეის გამართლებას. საქართველოსაგან სამაჩაბლოს მოწყვეტას უწევდა პროპაგანდას ფრანგული ჟურნალი „პუენ დიუ ჟური", რომლის კორესპონდენტმა უტიფრად დაწერა, რომ სამხრეთ ოსეთი სტალინმა უწყალობა საქართველოსო. გვინდა შემოგთავაზოთ უმეცრებით სავსე ერთი პასაჟი (ავტორმა არ გამოამჟღავნა თავისი თავი და სტატიის ბოლოში დაურთო მხოლოდ ინიციალები — ბ. პ.).

„...ამას წინათ ერთმა ოსმა პარტიზანმა თქვა, რომ რუსეთის შავ ბაზარზე ძალიან ადვილია იარაღის შოვნა, ქართველები, ისევე როგორც ოსები, არიან ქრისტიანები, ინდოევროპელები და ისინი არიან ალანების შთამომავლები, რომლებიც აქ მე-6 საუკუნეში მოვიდნენ.

რაღაც სიმშვიდის მაგვარი შეიქმნა აქ იანვრის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა ჯებირის როლი იკისრეს. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, წითელი არმიის ჯარისკაცები აღარ გამოდიან თავიანთი ყაზარმებიდან და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქ აღარ იქნება ძალა, რომელიც ჟანდარმის როლს შეასრულებს. აქ ბევრი რამ ცუდია მოსალოდნელი, რადგან არც ოსები არიან რბილები. თვით სტალინზე, რომელსაც ქართველად თვლიან, რადგან გორში დაიბადა, მისი ერთ-ერთი მეხოტბე წერდა: „ფართომკერდიანი ოსი". პუტჩის დღეებში ოსებმა აშკარად დაუჭირეს მხარი იანაევს, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ეს გამსახურდიას გააჩერებდა. გამსახურდიამ ამ პუტჩს არც მხარი დაუჭირა, არც მის წინააღმდეგ გამოვიდა. ახალბედა დიქტატორები ყოველთვის ერთმანეთს უგებენ ხოლმე.

ანდრეი სახაროვი, რუსეთის ბრძენი, სიკვდილამდე ცოტათი ადრე ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და განსაკუთრებით საქართველო, ესაა „მცირე იმპერიები" და ისინი უნდა დაიშალონ".

უბედურება ის კი არ არის, რომ ფრანგი ჟურნალისტი ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის ელემენტარული ფაქტების არცოდნას (რაც საკმაოდ დამახასიათებელია ზოგიერთი უცხოელი კორესპონდენტისთვის) და მანდელშტამს სტალინის მეხოტბედ აცხადებს, არამედ ის, რომ თავად დემოკრატიის მომხრე და დამფასებელნი, ჩვენ ჟანდარმს, ანუ „იარაღით მომრიგებელს" გვისევენ. ეს მომენტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ სხვის იმედზე, და ერთიანობით, კოლეგიალობით მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემები, არ გავუშვათ ხელიდან შექმნილი ხელსაყრელი ისტორიული ვითარება.

ამასწინანდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა არ მოგვცა საშუალება გამოგვეყენებინა ის მეტად ხელსაყრელი პირობები, რომელიც შეიქმნა აგვისტოს პუტჩის შემდეგ. იმაზე, თუ რა პერსპექტივები გვქონდა იმ დროისათვის, კარგად წერდა ფრანგი ჟურნალისტი ბრიჯიტ ბრეაკი „ექსპრესში" (29 აგვისტო).

„წარუმატებელმა პუტჩმა განამტკიცა გამსახურდიას პოზიცია. ეჭვგარეშეა, რომ დღეს როგორც არასოდეს, პრეზიდენტი მიუახლოვდა საქართველოს თავისუფლების იდეას, რაც მან ბავშვობიდანვე დაისახა ცხოვრების მიზნად. მართლაც, აგვისტოს მოვლენებმა საბოლოოდ გამოუტანეს განაჩენი ადგილობრივ კომუნისტურ პარტიას.

9 აპრილის შემდეგ ამ პარტიის პოპულარობა ნულამდე დავიდა. კრემლის მაშინდელმა აგრესიამ ძირითადად ქალები იმსხვერპლა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან მანიფესტაციაში. კომუნისტურმა პარტიამ ალღო ვერ აუღო ვითარებას და გვიან დაადგა დამოუკიდებლობის კურსს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა თავისთვის ერთადერთი ხსნა ახლადშექმნილ ხუნტაში დაინახეს და უყოყმანოდ აღიარეს იგი, რითაც ფატალური შეცდომა დაუშვეს.

აგვისტოს პუტჩის დამარცხება ხელს უწყობს დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალი საქართველოს დასძლიოს ორი წინააღმდეგობა. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკის ორ ავტონომიურ ოლქს, კერძოდ აფხაზეთს, სადაც კომუნისტები დომინირებენ და მუსულმანურ სამხრეთ ოსეთს, სურთ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩეს, მაგრამ იმის გამო, რომ მათ მხარი დაუჭირეს პუტჩს, ისინი დისკრედიტირებული აღმოჩნდნენ, რაც ხელ-ფეხს უხსნის გამსახურდიას.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება არ მოაწეროს ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას: „მარტში ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და მივიჩნიეთ, რომ ვიმყოფებით საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი სახელმწიფო და კონსტიტუცია".

**ნოდარ ბაბუშვილი,**
საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთის პრესის განყოფილება.

# რა მოელის ედუარდ შევარდნაძეს?

ᲗᲐᲕᲘᲡ დროზე გერმანიის ფიურერი ადოლფ ჰიტლერი ამბობდა, საბჭოთა კავშირი თიხისფეხებიანი კოლოსია, რომელიც ომის პირველ კვირებში დაიშლებაო. ჰიტლერი ცდებოდა, რადგან გერმანიის ვერმახტს დაუპირისპირდა შიშზე აგებული სტალინის ტოტალური მანქანა. მაშინ ორი იმპერიული გაერთიანებიდან ერთ-ერთი უნდა დამარცხებულიყო. დამარცხდა გერმანიის იმპერია. დარჩა საბჭოთა. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიოს უკანასკნელი იმპერიის — საბჭოთა კავშირის არსებობა, რომელმაც განვითარების ყველაზე მაღალ სფეროს იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო პერიოდში მიაღწია, შემდეგ კი დაღმა სვლა იწყო. ახლა ყველაფერი დროის საკითხია.

საბჭოთა იმპერიის არსებობის შეწყვეტასთან ერთად მთავრდება მისი უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობაც.

ჩვენი საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, გურიის სოფელ მამათის მკვიდრს, ცნობილ პარტიულ ფუნქციონერსა და დიპლომატს, ლენინის ხუთგზის, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანს, სოციალისტური შრომის გმირს, უამრავი მედლის მქონეს, ედუარდ შევარდნაძეს ცხოვრების საინტერესო გზა ჰქონდა. როგორც მაღალი რანგის პარტიულმა ფუნქციონერმა, მან განსაკუთრებულ წარმატებას დიპლომატიურ სარბიელზე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მიაღწია. დიდია მისი დამსახურება ისეთი ანომალიური მოვლენის აღმოფხვრაში, როგორიც იყო ცენტრალურ ევროპაში ორი გერმანიის არსებობა, ჟურნალი „შპიგელი" თავის დროზე (მიუთითებდა რა შევარდნაძის როლზე გერმანიის გაერთიანების საქმეში, ხუმრობით შენიშნავდა, „გერმანია ქართველმა გაყო შუაზე და ქართველმავე გააერთიანაო".

ყველას კარგად ახსოვს შევარდნაძის გახმაურებული გადადგომა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და ახლახან მისი შედარებით წყნარი დაბრუნება ახლა უკვე საგარეო ურთიერთობათა მინისტრის თანამდებობაზე. ამის შემდგომ გამოიკვეთა სამი ფიგურა, რომლებმაც ბოლომდე უნდა გაითამაშონ საბჭოთა პარტია. ესენი არიან ელცინი, გორბაჩოვი და შევარდნაძე. ბოლო პერიოდში ელცინის ძალაუფლება, რომელიც მან აგვისტოს პუტჩის შემდეგ მოიპოვა, აღარ იზრდება. გორბაჩოვის ძალაუფლება და გავლენა კი კატასტროფულად კლებულობს. შევარდნაძე მათ შორის ბუფერის როლს ასრულებს. არის კიდევ ერთი ძალა, რომელიც მთავარი წარმმართველია იმპერიის დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებისა, — ეს არის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. მათს სწრაფვას ებრძვის უწინარესად ზემოთ დასახელებული სამი პიროვნება.

საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების ბოლო ცდა იყო ნოვოოგარიოვოში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების რატიფიცირება. იგი მარცხით დასრულდა. ამან გორბაჩოვის საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო შელახა. ანალოგიურად შესუსტდა ედუარდ შევარდნაძის პოზიციებიც, რადგან იგი საგარეო ურთიერთობათა მინისტრად იმიტომ დააბრუნეს, რომ თავისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით რესპუბლიკები ახალ კავშირში შეეყვანა.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების რატიფიცირება საბოლოოდ დასამარდა უკრაინაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, რომლის დროსაც მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა უკრაინის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. რადიოსადგური „ამერიკის ხმა" იუწყება, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აპირებს მიულოცოს უკრაინის მთავრობას რეფერენდუმში წარმატება და უახლოეს მომავალში ცნოს უკრაინის დამოუკიდებლობა. გუშინ ევროპის ეკონომიკური კავშირის ბრიუსელის შეხვედრაზე განიხილავდნენ უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს. კორესპონდენტები იუწყებიან, რომ უკრაინის დიპლომატიურ ცნობას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისათვის, რომლებმაც უკვე კარგა ხანია დამოუკიდებლობის დეკლარაცია, გამოაცხადეს, ზოგმა კი, კერძოდ საქართველომ, ამის თაობაზე რეფერენდუმიც ჩაატარა, რომლის დროსაც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავისუფალ სამშობლოში ცხოვრება ისურვა.

ბევრს აინტერესებს, ისეთი გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე, როგორც შევარდნაძეა, რომელსაც, რა თქმა უნდა, დაახლოებით ეცოდინებოდა, რა შედეგით დასრულდებოდა უკრაინის რეფერენდუმი, რატომ დათანხმდა საბჭოთა კავშირის მაღალ პოლიტიკურ წრეებში დაბრუნებას? ნუთუ პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა და განწირული იმპერიული სტრუქტურების გადარჩენა სცადა?.

შესაძლებელია შევარდნაძემ უკვე კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა მომავალში. ამის მიუხედავად იგი იძულებული გახდა გორბაჩოვთან და ელცინთან შეთანხმებით დათანხმებოდა ახალ პოსტს, თორემ ჰაერში გამოკიდებული რჩებოდა, რადგან მის მიერ დაარსებული ე. წ. საგარეო ურთიერთობათა ასოციაცია უფრო კერძო კომპანიას ჰგავდა. შესაძლოა მან საგარეო ურთიერთობათა მინისტრის პოსტი ტრამპლინად გამოიყენოს და საერთაშორისო ორგანიზაციებში გავიდეს. გაეროს გენერალური მდივნის პოსტი უკვე გამორიცხულია, რადგან მისი კანდიდატია ეგვიპტელი ბუტროს გალი. შესაძლოა შევარდნაძე იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდეს, რომელიც აერთიანებს გადამდგარ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლის შემადგენლობაში რეიგანი, კარტერი და ტეტჩერი არიან.

საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის პოსტის გაუქმების შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, რომ ელცინმა შევარდნაძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნოს. იგივე ითქმის უკრაინაზეც. რაც შეეხება ყაზახეთს, მისმა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავის დროზე რესპუბლიკაში მოიწვია როგორც ეკონომიკური ექსპერტი, კორეული წარმოშობის ამერიკელი მოქალაქე. ასე რომ, სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ნაზარბაევმა შევარდნაძეს ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრის „პორტფელი" შესთავაზოს.

ახლახან ედუარდ შევარდნაძემ „ნეზავისიმაია გაზეტას" ფურცლებზე განაცხადა, რომ თავის დროზე საქართველოს ხელისუფლება რუსეთს მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა, შემიერთეო. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, ქართველი კაცისგან ამის საჯაროდ განცხადება მაინც მიუღებელია. ამავე დროს ყველამ კარგად იცით, რა ხასიათის იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და როგორი ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო რუსეთსა და საქართველოს შორის. ამავე დროს ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებით მხარი დაუჭირა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ პუტჩს. აქედან გამომდინარე მან ძნელია საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას მოსთხოვოს ან შესთავაზოს თავისი სამსახური. არადა, რარიგ სამწუხაროა, რომ იგი, თავისი დიდი გამოცდილებით, ვერ დაეხმარება ჩვენს სამშობლოს საერთაშორისო ცნობის საქმეში. თუმცა, საქართველოს საერთაშორისო აღიარება შევარდნაძეს სურს თუ არ სურს, მაინც მოხდება.

ბევრს ეჭვი არ ეპარება და ამის სერიოზული სიმპტომებიც არის, რომ საბჭოთა იმპერიის შენარჩუნების მომხრეები სამხედროებს მოუხმობენ. მაგრამ, იმპერიის მასშტაბით მისი სიძვირის გამო, კომენდანტის საათის გამოცხადება ვერ მოხერხდება. ასე რომ, იმპერიის დასასრული გარდაუვალია.

როდესაც უკრაინის, ბელორუსიის და სხვა რესპუბლიკების შემდეგ ან მათზე ადრე საერთაშორისო ალიანსი იძულებული გახდება ცნოს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ასეთ შემთხვევაში კი ბატონი ედუარდ შევარდნაძე და არა მარტო იგი, არამედ სამშობლოდან გადახვეწილი მასთან დაახლოებული პირებიც ავტომატურად რჩებიან ემიგრანტებად, როგორც პოლიტიკური ემიგრანტები რუსეთის ტერიტორიაზე.

**ზურაბ სიხარულიძე,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს

პატივცემულო ქალბატონო მარიკა,

თქვენი გაზეთის 22 ნოემბრის ნომერში, ქალბატონ მედეა თუშმალიშვილთან ინტერვიუში, აღნიშნულია შემდეგი: „...ვიდრე ლიტვაში არის ფაშისტური რეჟიმი და ვიდრე ლანდსბერგისი არ ისწავლის რას ნიშნავს დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა, მანამდე ევროპამ არ უნდა მიიღოს ლიტვა ევროპის ქვეყნების კავშირში. მართლაც ტყუპის ცალივით ჰგავს ქალბატონ კაზიმირა პრუნსკენეს ეს განცხადება პატივცემული დეპუტატის დავით ბერძენიშვილისა და მწვანეთა ლიდერის ბ-ნი ზ. ჟვანიას ანალოგიურ განცხადებას, რომელიც მათ ევროპარლამენტში გააკეთეს...“

აღნიშნული განცხადება წარმოადგენს სრულ სიცრუესა და ცილისწამებას, მას არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს რაიმენაირი რეალური საფუძველი. მსგავსი სიყალბის გამოქვეყნება მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ევროპარლამენტში ჩვენი ვიზიტი სწორედ საპირისპირო მიზანს ისახავდა. ჩვენი გამოსვლა ევროპარლამენტის სხდომაზე, ისევე როგორც ცალკეული შეხვედრები და პრეს-კონფერენციები, აღბეჭდილია ვიდეოფირზე და ჩვენ მზად ვართ გადავცეთ იგი საქართველოს ტელევიზიას, როგორც კი იგი გაიხსნება ოპოზიციის წარმომადგენელთათვის. რაც შეეხება ჩვენი ვიზიტის შედეგებს, ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი 22 ნოემბრის გაზეთ „დროში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

არა მგონია „მიზანდასახული საგარეო პოლიტიკა“, რომლის შესახებაც სავსებით სამართლიანად საუბრობს ქ-ნი მედეა თუშმალიშვილი ,საშინაო საქმეებში ჭორებისა და დეზინფორმაციის გავრცელებას გულისხმობდეს.

რაც შეეხება ჩვენს გამგზავრებას საფრანგეთში, იგი შედგა მიუხედავად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული წინააღმდეგობისა მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის საელჩომ მოსკოვში მიიღო საგანგებო მითითება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან.

დაჟინებით გთხოვთ, წინამდებარე წერილი გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

პატივისცემით
ზურაბ ჟვანია,
საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი.

**კომენტარის მაგიერ:**

11 ნოემბერს რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის მიერ მომზადებულ სალამოს გადაცემაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უზენაესი საბჭოს წევრი დავით ბერძენიშვილი და საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია, შეკითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილებები დარჩათ მწვანეთა ევროპარლამენტის სესიის მუშაობის შესახებ, ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ უპასუხა: ჩვენის მხრიდან აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამჟამად მართავს ტოტალიტარული, ნეონაცისტური რეჟიმი „მრგვალი მაგიდის“ სახით, რესპუბლიკაში არსებობს მძლავრი დემოკრატიული ოპოზიციური მოძრაობა, რომელიც ყოველ ძალას იხმარს არა ცრუ, არამედ ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის ხელდასმისათვის ან, საერთოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებისათვის. მოვითხოვეთ მხარდაჭერა დემოკრატიული მოძრაობისადმი და გარანტიები მისი წარუმატებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის არცნობისა, რაც დაგვიდასტურეს ევროპარლამენტის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ბ-ნმა დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა: დემოკრატიული მოძრაობის მიზანია პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნა. ამგვარ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოში არსებული დემოკრატიული ოპოზიციის ისეთმა პროგრესულმა ძალამ, როგორიცაა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

# მწვანეთა „დემოკრატია“

## ღია წერილი საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას

ბატონო ზურაბ!

ამა წლის 11 ნოემბერს წყალტუბოს მწვანეთა რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა (მისივე განცხადებით თავმჯდომარის მოადგილემ) წარმომიდგინა მწვანეთა ცენტრალური საბჭოს ბრძანება მწვანეთა ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის გაუქმების შესახებ (ბრძანება № 30 1991 წლის 28 სექტემბრისა).

საქართველოს მწვანეთა დარბაზის 28 სექტემბრის სხდომის დადგენილების თანახმად, რომელიც თან ახლდა ბრძანებას, მწვანეთა ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის გაუქმების აუცილებლობა გამოიწვევია ჩემს დეპეშამ, რომელიც გაგზავნილი იყო ორ მისამართზე, მწვანეთა ცენტრალურ საბჭოში და საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტში (არც ტასში, არც „ვესტი“-ში და არც დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში არ გამიგზავნია).

ჩემთვის ყოვლად მოულოდნელი იყო აღნიშნული ბრძანება, მით უფრო, რომ ესოდენ არასამართლებრივი გადაწყვეტილება მიიღო ორგანიზაციამ, რომელიც ხელისუფლებას ბრალს დებს არადემოკრატიულობაში და [illegible] სწამებს.

[illegible] დაეთანხმები თქვენს ბრალდებას, თითქოს დავარღვიეთ მწვანეთა 14 სექტემბრის რიგგარეშე კონგრესის გადაწყვეტილებები. შეგახსენებთ, რომ კონგრესმა ცენტრალურ საბჭოს დაეთანხმა აქცია გაეგრძელებინათ მხოლოდ პრესისა და ტელევიზიის თავისუფლების მოთხოვნით (ჩემი აზრით ამას ადასტურებენ გორის, ფოთის, ქობულეთის და ხაშურის ორგანიზაციათა წევრები შენც), თუმცა უკვე მეორე დღეს, 15 სექტემბერს, უნივერსიტეტთან მწვანეთა დროშის გვერდით გაჩნდა მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ.

ნიუღელად მიმაჩნია დეპეშის ტექსტის თვითნებური ინტერპრეტაცია და ბრალდება, თითქოს ბატონ ზ. ჟვანიას და გ. თუმანიშვილს ბრალად ვდებთ შეიარაღებული-სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მწვანეთა მიერ ორგანიზებული აქცია გამოვიდა თქვენი კონტროლიდან, თქვენ ვალდებული იყავით ყველა ღონე გეხმარათ სიტუაციის ნორმალიზაციისათვის და თუ ეს არ ხელეწიფებოდით, მაშინ ოფიციალურად უარი გეთქვათ აქციის გაგრძელებაზე. თქვენ კი სიმართლის ძებნა რუსეთის ე. წ. დემოკრატებში დაიწყეთ და საკავშირო ტელევიზიის საშუალებით შეუდექით საქართველოს საშინაო საქმეების განხილვას. სწორედ თქვენმა გამოსვლამ ცენტრალურ ტელევიზიაში განაპირობა აღნიშნული დეპეშის და მასში მოცემული მოთხოვნების წამოყენება. ყოველთვის მწამდა და მწამს, რომ იმპერიის ადვოკატობა კარგს არაფერს შეგვმატებს, რამეთუ უბედურების მეტი დღემდე არაფერი მოუტანია.

მე არ ვაპირებ თქვენთან იმის გარკვევას, თუ ვინ უფრო მეტი შესცოდა საქართველოსათვის სამარცხვინო სექტემბერ-ოქტომბრის დღეებში, ოპოზიციამ თუ ხელისუფლებამ, არც იმისას — ჯერ დემოკრატია თუ დამოუკიდებლობა, არც პრეზიდენტის დემოკრატობის თუ დიქტატორობის დადგენას და არც სხვადასხვა საკითხებზე დავას, რომლებზედაც საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა როგორც ხელისუფლების მხარდამჭერთა, ასევე ოპოზიციის მხრიდანაც. ყველა პიროვნების უფლებაა თავისი შეხედულება ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხზე და თუ ვინაა მართალი, ამას ისტორია გაარკვევს, შთამომავლობა განსჯის. უბრალოდ, მე სახტად დავრჩი დემოკრატიისათვის ასეთი თავგანწირული მებრძოლის მიერ, როგორადაც თქვენს თავს წარმოგვიდგენთ, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ასეთი არადემოკრატიული დადგენილების და ბრძანების მიღების გამო.

ბატონო ზურაბ! ვთქვათ ჩვენ, მწვანეთა ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის საბჭოს წევრები, შევცდით სექტემბერში საქართველოში მიმდინარე პროცესების პოლიტიკურ შეფასებაში, „უზუსტ“ და „არაეთიკური“ საქციელი ჩავიდინეთ და დავარღვიეთ „საქართველოს მწვანეთა 14 სექტემბრის კონგრესის გადაწყვეტილებათა და საქართველოს მწვანეთა წესდების 3.8-4.8 პუნქტები“, თქვენ და მწვანეთა ცენტრალური საბჭოს წევრები, „პოლიტიკოსები“ და „დემოკრატები“ რამ გაიძულათ, რომ ასეთი ნაჩქარევი და იურიდიულად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიგეღოთ?

თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ მწვანეთა წესდების 4.16 პუნქტის თანახმად ჩვენ უფლება გვქონდა მოგვეთხოვა მწვანეთა რიგგარეშე კონგრესის მოწვევა. იგივე პუნქტით ცენტრალური საბჭო ვალდებული იყო მწვანეთა რაიონული ორგანიზაციებისათვის გაეცნო აღნიშნული მოთხოვნა და წევრთა 50%-ის თანხმობის შემთხვევაში კონგრესი უნდა დანიშნულიყო ერთი თვის ვადაში, მაგრამ თქვენ ისე ოპერატიულად მოგიწვევიათ მწვანეთა დარბაზის სხდომა (დეპეშა გამოგზავნილია 25 სექტემბერს 17 საათსა და 20 წუთზე. სხდომა გაიმართა 28 სექტემბერს), რომ არათუ ყველა რაიონული ორგანიზაციის აზრის გაზიარება, არამედ თვით ჩვენთვისაც არაფერი გიკითხავთ, ამ დარბაზზე ჩვენს მოწვევას რომ თავი დავანებოთ.

ბატონო ზურაბ! ყველა საკითხის გაანალიზების შედეგად რამდენიმე ლოგიკური კითხვა მებადება და თუ მომიტევებთ, უნდა გკითხოთ: 1. ხომ შეიძლებოდა აღნიშნული დეპეშა ერთგვარი პროვოკაცია ყოფილიყო და არა ჩვენს მიერ გამოგზავნილი? 2. ითვლება თუ არა დეპეშა იურიდიულ საბუთად იურისპრუდენციაში საერთოდ და კერძოდ მოცემულ შემთხვევაში? 3. რომელი ქვეყნის დემოკრატია ითვალისწინებს მთელი ორგანიზაციის გაუქმებას ორგანიზაციის თავმჯდომარის მიერ გამოგზავნილი დეპეშის საფუძველზე, თუნდაც ამ დეპეშაში, როგორც თქვენ ბრძანებთ, უხეშად იყოს დარღვეული წესდების გარკვეული პუნქტები? 4. ესწრებოდა კი იმ „საბრალდებო“ დარბაზს წესდებით გათვალისწინებული წევრთა 2/3? 5. ასეთი ნაჩქარევი და, მაპატიეთ მაგრამ სხვა სიტყვა ვერ მოვძებნე, უხეირო გადაწყვეტილების მიღება ხომ არ არის გამოწვეული თქვენი დიდი ხნის სურვილით — დაგექვემდებარებინათ ქუთაისის მწვანეთა ორგანიზაცია წყალტუბოს ე. წ. იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციისათვის, რომლის თავმჯდომარე ქალბატონი როზა ლორთქიფანიძე უსიტყვოდ იზიარებდა და იზიარებს თქვენს შეხედულებებს? 6. ორგანიზაციის გაუქმება დეპეშის საფუძველზე, ყოველგვარი გამოკვლევისა და „საბრალდებულო“ დარბაზზე ამ ორგანიზაციის არა თუ თავმჯდომარის, არამედ თუნდაც ერთი წევრის მოუწვევლად ხომ არ გაგონებთ ბოლშევიკების მიერ იმ ავბედით წლებში პარტიების, ჯგუფებისა თუ მთელი ხალხებისათვის დახვრეტის თუ გადასახლების განაჩენის გამოტანას სიებით? 7. როგორი იმიჯი შეგექმნებათ თქვენ და თქვენს ორგანიზაციას საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი რომ გადავუგზავნოთ მათ საინფორმაციო საშუალებებს შესაბამისი განმარტებით? 8. 25 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე შეიძლება ვერ მოახერხეთ, მაგრამ ნუთუ დროის ამხელა შუალედში (28 სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე) ვერ შეძელით გეცნობებინათ ჩვენთვის თქვენი გადაწყვეტილება? ჩვენ ხომ თურმე თვენახევრის მანძილზე „უკანონოდ“ ვმოღვაწეობდით.

ბოლოს, მე არ მინდა შევეხო თქვენს საქმიანობას, მაგრამ ღრმად მწამს, რომ დემოკრატობანას თამაში კარგი არავისთვის მოუტანია. სიმართლის გზაზე, მხოლოდ სიმართლით შეიძლება სიარული.

ავთანდილ ქვაჩაძე.
ქუთაისი,
13 ნოემბერი, 1991 წელი.

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (1991 წ. 27 ნოემბერი) [illegible] შემდეგ უკვე რუსულმა გაზეთებმა «Свободная Грузия» და «Грузия-спектр» [illegible] «Я общаюсь и принимаю всех, тем более, они мои друзья: вот были Г. Лорткипанидзе и Р. Чхеидзе, я всех принимаю и не интересуюсь, кто оппозиция, а кто нет!» [illegible] ფილვარ შევარდნაძესთან, ხოლო ქართული გაზეთის მიხედვით მე [illegible] ჰქონდა შეხვედრა, მას შემდეგ თვალით არ მინახავს, არსად არ [illegible]

პატივისცემით
ნანა ლორთქიფანიძე.
1991 წ. 29 ნოემბერი,
ქ. თბილისი.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისაგან**

[illegible] («Вот Г. Лорткипанидзе, Р. Чхеидзе приедет...») [illegible] «растлили» [illegible] «Чтобы она отказалась от подписки» [illegible]

# ღვთისმშობლის დღესასწაული

ამა წლის 27 ნოემბერს [illegible]

[illegible] № 000 606 115. [illegible]

ღვთისმშობლის კავშირის გამგეობა.

## დანაშაული

# გაძარცვულია ნოქალაქევის მუზეუმი

### ერის საგანძურიდან გაიტაცეს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების პერიოდის უმდიდრესი სამკაულები, კოლხური მონეტები...



უკვე ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, იმ გაუგონარი ამბიდან, როცა ღამით გატეხეს სენაკის რაიონის ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი და გაიტაცეს ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების პერიოდის 70-მდე უნიკალური ექსპონატი.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი გახდეს, რამდენად დიდ დანაკარგთან გვაქვს საქმე, მოკლედ გაგაცნობთ თვით ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ისტორიას.

თითქმის ორასი წლის განმავლობაში მრავალი ქართველი და უცხოელი მკვლევარი ეძებდა, თუ სად მდებარეობდა ბერძნების მიერ მოხსენიებული კოლხეთის დედაქალაქი „აია“ და ეგრისის სამეფოს დედაქალაქი, ბიზანტიელების მიერ „არქეოპოლისად“ სახელდებული. ყველა ამ საკითხს ნათელი მოჰფინა ამ ოციოდე წლის წინათ სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში დაწყებულმა გათხრებმა, რომელსაც აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით.

მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სოფელ ნოქალაქევში მდებარე გრანდიოზული ნანგრევები, ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს დედაქალაქის ციხეგოჯის — არქეოპოლისის ნაშთია და „აიას“ მასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ამ ხანგრძლივმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ჩვენი ისტორიის მრავალ საინტერესო მოვლენას მოჰფინა ნათელი, მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ამ ადგილას ცხოვრება იწყება ძვ. წ. მეორე ათასეულის შუა პერიოდში, ანტიკურ ხანაში კი ისეთი ხალხმრავალი მოსახლეობაა, რომ III საუკუნის დამდეგს აქ არსდება საერისთავო, სადაც ერისთავი ქუჯი აგებს ციხე-ქალაქს — ციხეგოჯის სახელწოდებით, ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. III-I საუკუნეში) ციხეგოჯი კოლხეთის სამეფოს ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ცენტრი მაინცაა.

ძველი და ახალი ათასწლეულების მიჯნაზე კოლხეთის დიდებული სამეფო შეარყია: ჯერ პონტოს სამეფოს და შემდეგ რომის იმპერიის ექსპანსიამ. დასუსტებულმა ქვეყანამ მხოლოდ III საუკუნეში შეძლო ამოესუნთქა. იმავე საუკუნის მიწურულიდან ეგრებმა იმარჯვეს, მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანეს და ჩამოყალიბდა ეგრისის ძლიერი სახელმწიფო. მისი ცენტრი ისევ ციხეგოჯში, დღევანდელ ნოქალაქევში დაიდო. მას ბიზანტიელები არქეოპოლისს ანუ ძველ ქალაქს უწოდებდნენ.

არქეოლოგიური კვლევით მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ოციოდე ჰექტარზე გაშენებულ დედაქალაქს სამმაგი გალავანი შეუვალს ხდიდა. ნოქალაქევის ტერიტორიაზე გამოვლენილი ექვსი ეკლესიიდან ერთი უძველესია, IV საუკუნის შუა ხანებშია აგებული, რამაც საბოლოოდ დაადასტურა ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა IV საუკუნეში გამხდარა სახელმწიფო რელიგიად და არა VI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ადრე იყო მიჩნეული.

ამათ გარდა, ნაქალაქარზე აღმოჩნდა ეგრისის ანუ ლაზიკის მეფეთა ორი სასახლე, რომელთაგან ერთი IV საუკუნით თარიღდება, მეორე კი — VI საუკუნით. ასეთი ძველი სასახლეები არა მარტო აქ, მთელ საქართველოში იშვიათია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი აბანოს, სამეფო და სამოქალაქო აბანოების მოკვლევა. თავისთავად ქალაქში და მის ირგვლივ ექვსი აბანოს აღმოჩენა, იმ ეპოქის კომუნალური მომსახურების მაღალ დონეზე მეტყველებს.

ნაქალაქარის გარშემო, თხუთმეტი-ოცი კილომეტრის რადიუსით ჩატარებულმა გათხრებმაც მკვლევარებს ადრე შუა საუკუნეების ისტორიისათვის დიდძალი ახალი მასალა მისცა, ამათგან აღსანიშნავია ნოჯიხევის V-VI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული „ტეტრაკონქისა“, და ნაჯახოვოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპების ეკლესიები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში პირველია, ხოლო X საუკუნის დამლევს აგებული რვააფსიდიანი ეკლესია, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მთელ საქართველოში ერთადერთია. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა უდიდესია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ნაქალაქარზე და მის ირგვლივ ჩატარებულმა გათხრებმა დიდძალი, მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა გამოავლინა. განათხარი ნივთებიდან უმრავლესობა ადგილობრივი წარმოებისაა მაგრამ საკმაოდ მრავლადაა შემოტანილიც, იმპორტული მასალა ძირითადად წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნებიდანაა შემოტანილი. მონაპოვარში ქრონოლოგიურად ორი გამოიჯნული ჯგუფია. ადრეული ჯგუფიდან მრავალფეროვანია ანტიკური სამყაროდან, უფრო კი ელინისტური ხანიდან მომდინარე კერამიკული ჭურჭელი, მრავალფეროვანი სამკაული და IV-VIII საუკუნეების ლითონი, მინა, კერამიკა და მოსართავის მრავალსახეობა.



არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ამ უნიკალური ნივთების ხალხის ფართო მასებისათვის გაცნობის მიზნით ნოქალაქევში გადაწყდა აშენებულიყო მუზეუმი. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ პროფესორი პარმენ ზაქარაია, რომელმაც საქმე ბოლომდე მიიყვანა და 1988 წლის ნოემბერში გაიხსნა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი. აქ გამოფინეს წლების განმავლობაში მეცნიერ არქეოლოგთა მიერ დიდი რუდუნებით მოპოვებული ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების პერიოდების უმდიდრესი სამკაულები, რომლებიც ამჟამად ქურდებმა პირწმინდად გაიტაცეს.

გატაცებულ ყველა ექსპონატს აქ ვერ ჩამოვთვლით. დავკმაყოფილდებით მხოლოდ მათი სახეობათა დასახელებით. ესენია: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბალთები, საკინძეები, მძივები, ფიბულები, ქინძისთავები, ზარაკები, მონეტები, როგორიცაა „კოლხური თეთრი“, რომაული, ბიზანტიური, ტრაპიზონული და თურქული მონეტები. ეს მონეტები უზარმაზარი დიაპაზონისაა, მოიცავს ძვ. წ. IV ს-დან ახ. წ. XVII საუკუნემდე პერიოდს. მათგან მარტო კოლხური ვერცხლის მონეტების დასახელება რად ღირს! ესენი ხომ ფასდაუდებელია და მსოფლიოს პირველ მონეტათა რიგს მიეკუთვნება. ხოლო თავისთავად ის ფაქტი კოლხის მიერ უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში მონეტის მოჭრა ხომ სახელმწიფოებრიობის შექმნაზე მიუთითებს.

გატაცებული ექსპონატები ბრინჯაოს, სპილენძისა და ვერცხლისაა, ხოლო მძივები — ძვირფასი ქვების, მინისა და პასტისაა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხელოვნების ნივთების მნიშვნელობის განმსაზღვრელი მხოლოდ მასალა ხომ არ არის, არამედ მათი მხატვრულობა და უნიკალობა.

და რა გულსატკენია, რომ მუზეუმის გაძარცვიდან უკვე ოთხი თვე გავიდა და დამნაშავენი ჯერაც არ არიან მხილებული. აი, ამის თაობაზე რა გვითხრა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბატონმა თამაზ ნათიძემ, — დაკარგული სამუზეუმო ექსპონატების ძებნისა და დამნაშავეთა გამოვლენის თაობაზე მოლაპარაკებას ვაწარმოებდით რესპუბლიკის ყოფილ გენერალურ პროკურორთან ბატონ ვახტანგ რაზმაძესთან, მან პროკურორიც გამოგვიყო, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ადგილზე, სენაკის რაიონში ამ ფაქტს სათანადო შეფასება და ყურადღება ვერ მიაქციეს. არადა, საქმე არ ითმენს. თუ ეს უნიკალური ნივთები დროულად არ იქნა მოძებნილი და დაიკარგა, ამ ფაქტს არ გვაპატიებს შთამომავლობა. ერის საგანძური გაძარცულია, მთელმა საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს გულისხმიერება, დახმარება გაუწიოს კანონდამცველ ორგანოებს, რომ ის უწმინდური ადამიანები, რომლებმაც ხელყვეს ქართული კულტურის ეს ძვირფასი შენაძენი, დროულად შევიპყროთ და მუზეუმს თავისი ექსპონატები დავუბრუნოთ.

ლარისა ხუბულური.

• • •

სურათებზე: ქურდების მიერ გატაცებული ექსპონატებიდან: ელინისტური ხანის სამკაულები — სამაჯური და საყურე.

# რა ხდება მარნეულში?

როგორც ცნობილია, გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ. მარნეულის რაიონის კომენდანტად დანიშნულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე მილიციის პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მიქაბერიძე. საქართველოს რესპუბლიკის კორესპონდენტი მარნეულში შეხვდა მას და რამდენიმე კითხვით მიმართა:

**— რამ გამოიწვია რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გართულება?**

— მოგეხსენებათ, მარნეულის რაიონი ტრადიციულად რთული რეგიონია — უკანასკნელ ხანს გახშირდა სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობები: მკვლელობა, ქურდობა, გაუპატიურება, ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. ასეთი „მცირე დროის მონაკვეთში სამი შემთხვევა იყო. ამას დაერთო ადგილებზე მოსახლეობის მცირე ნაწილის უკმაყოფილება. ეს კარგად გამოიყენეს ოპოზიციურმა ძალებმა და ცდილობენ მოახდინონ ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ორგანოების დისკრედიტაცია.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ამას დაერთო ადგილებზე მოსახლეობის მცირე ნაწილის უკმაყოფილებაო. მოსახლეობის რომელი ნაწილი გყავთ მხედველობაში?**

— მათ ორგანიზაცია გაუკეთეს მარნეულის რაიონის ქართული მოსახლეობის სწორედ მცირე ნაწილს, ერთ ჯგუფს, რომლებმაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებამდე გარკვეული ხნით ჯერ სარკინიგზო და საავტომობილო გზების პიკეტირება, შემდეგ პრეფექტურის შენობის პიკეტირება მოახდინეს. მოპიკეტეთა მოთხოვნები ასეთია: შეიცვალოს პრეფექტი. მიზეზად ასახელებენ მხოლოდ იმას, რომ არ გვინდა ჩამოსული კაციო. მოითხოვენ აგრეთვე საკადრო პოლიტიკის გადასინჯვას და თანამდებობებზე მათ მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების დანიშვნას.

**— როგორ გესახებათ პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა?**

— რამდენადაც მარნეულის რაიონი სასაზღვრო რაიონია, ემიჯნება ორ მეზობელ რესპუბლიკას, სადაც მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია, ამ რეგიონში ყოველგვარი დესტაბილიზაციის ზრდას შესაძლოა მოყვეს შემდგომში უმართავი ან რთულად დასარეგულირებელი პროცესები. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რაიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და მისი განხორციელება დაევალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული გვარდიის ნაწილებთან ერთად.

— ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე განხორციელდება საგანგებო მდგომარეობა ყველა მისი წესის დაცვით და აქედან გამომდინარე, მთელი მისი შედეგებით. ჩვენი უწინარესი მიზანია მოხდეს მდგომარეობის სტაბილიზაცია დიალოგის გზით. პირველი შეთანხმებები, შეიძლება ითქვას, მიღწეულია, იგი დამაიმედებელია. ამჟამად მდგომარეობას და მის გამომწვევ მიზეზებს უფრო დაწვრილებით ვსწავლობთ. შემდგომში ამის შესახებ უფრო საფუძვლიანად მოვუთხრობთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს.

დღეს, 2 დეკემბერს მარნეულში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი. იგი ესაუბრა რაიონის ხელმძღვანელებს, შეხვდა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მშრომელთა წარმომადგენლებს.

„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.


რეკლამა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში შემდეგ სპეციალობებზე:

— აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები (აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი-პოლიტოლოგი).

— აღმოსავლური ენები და კულტურა (აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, რეფერენტი-თარჯიმანი, ჟურნალისტი-პოლიტოლოგი).

სტუდენტები შეისწავლიან ერთ ძირითად აღმოსავლურ ენას (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, იაპონური), ევროპულ ენებს და საერთაშორისო ურთიერთობისათვის აუცილებელ დისციპლინებს.

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში სწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზეა. ინსტიტუტში სწავლას გაუძღვებიან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღიარებული მკვლევარები და სხვა ცნობილი სპეციალისტები.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

ინსტიტუტში შემსვლელმა უნდა შემოიტანოს განცხადება აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორის სახელზე და შემდეგი საბუთები:

— საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი;
— ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086);
— ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
— ავტობიოგრაფია;
— 4 ფოტოსურათი (3X4);

პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

აბიტურიენტები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან გასაუბრების შედეგად. გასაუბრება ჩატარდება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, უცხო ენაში საშუალო სკოლის პროგრამების შესაბამისად.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია — წელიწადში 6500 მანეთი (ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით გადასახადი თანხა შესაძლოა გაიზარდოს).

ინსტიტუტში ჩარიცხული სწავლის წლიურ საფასურს გადაიხდის სიების გამოქვეყნებიდან შვიდი დღის ვადაში.

მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 70 მანეთი.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

საბუთები მიიღება ყოველდღე 10 დეკემბრის ჩათვლით გარდა კვირისა, 11-დან 17 საათამდე.

გასაუბრება ჩატარდება 11 დეკემბერს.

ინსტიტუტში სწავლა დაიწყება 16 დეკემბერს.

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის მისამართია: თბილისი-62, აკად. გ. წერეთლის ქუჩა № 3, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობა (ვაკის პარკთან), ოთახი № 312, ტელ. 23-18-73.

ხელოვნების მოყვარულთა საყურადღებოდ

ცნობილ იტალიელ მხატვარს ანჯელო დელ დევეროს მრავალი წლის სიყვარული და მეგობრობა აკავშირებს საქართველოსთან. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ამას წინათ ხელოვანმა თავისი 23 საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი საჩუქრად გადასცა საზოგადოება „საქართველო-იტალიას“. ამ უკანასკნელმა კი ავტორთან შეთანხმებით, გადაწყვიტა ნაჩუქარი სურათების გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხის გადაცემა მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ხვალ, 8 დეკემბერს 16 საათზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოების საგამოფენო დარბაზში (გ. ათონელის, 25) გაიმართება ანჯელო დელ დევეროს ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის საზეიმო გახსნა, ავტორთან შეხვედრა. დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ იქვე გამართონ მოლაპარაკება საქველმოქმედოდ გამიზნული სურათების შესაძენად.

საზოგადოება „საქართველო-იტალია“.

საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი“



მთავარი რედაქტორი მარიკა აზაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

საქართველოს რესპუბლიკა